საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო მთელი ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი 28 იანვარი 1921 წ.

ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 500 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 20 მანეთი, განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—76, კანტორის 18—82

№ 20 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 20

გულდამწვარონი და ღრმად დამწუხრებული [illegible] შვილები მიხეილ, ლიდა და გოგოლა და აღზრდილი ვლადიმერ მეუღლით, ძმები: ვლადიმერ სანოვი და არჩილ გრიგოლია აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს, ამხანაგებს და ნაცნობთ, რომ ქ. სამტრედიაში ნაფალაურის ხვთის მშობლის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა ჩვენი უძვირფასესი საყვარელი და დაუვიწყარი დედის

მაგდანე ნანეიშვილის ასული დიდიძის

სულის მოსახსენებლად 30 ამა იანვარს 11 საათზე დილით. (329 2—2)

ღრმათ დამწუხრებულნი ელენე ივანეს ასული წულაძისა, გერასიმე მაქსიმეს ძე წულაძე შვილებით: თამარა, ვალოდია ქენია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის დაუფასებელ ძმის, მეორეს ძვირფას ცოლის ძმის და დანარჩენების საყვარელ ბიძის

ზაქარია ივანეს ძე კადიეიშვილის

გარდაცვალების მეორმოცე დღის თავს შაბათს 29 იანვარს ქ. ფოთში წირვა და პანაშვიდი ნახუტურის ეკლესიაში. (342—1—1)

უღრმესი მწუხარებით აღვსილნი ნინა ივანეს ასული შენგელიაისა, ბესარიონ პავლეს ძე შენგელია, შვილები: კატუშა და დარეჯანა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის დაუვიწყარი ძმის, მეორის ძვირფას ცოლის ძმის და დანარჩენების საყვარელ ბიძის

ზაქარია ივანეს ძე კადიეიშვილის

გარდაცვალების მეორმოცე დღის თავს. წირვა და პანაშვიდი შაბათს 29 იანვარს ქ. ფოთში ნახუტურის ეკლესიაში. (342—1—1)

გულმოკლულნი და სამუდამოთ განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი მშობლები ემა ივანეს ასული და თომა დავითის ძე ბარამიძენი შვილებითურთ: ვალიკო, ელენა, ტასო, მარუსია, და კატუშა; სიძე გიორგი ზენაიშვილი შვილებით და დისწულები ტატიანა და ვალენტინა ჟორდანიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ მათი პირველთა შვილის, მეორეთა ძმის და მესამეთა უძვირფასესის ბიძის

კოლია თომას ძე ბარამიძის

სულის მოსახსენებლათ ორმოცი დღის გარდაცვალების აღსანიშნავათ გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი 29 იანვარს, დილის 11 საათზე ქ. ლანჩხუთის წმ. ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაში. (337 1—1)

მწუხარებაში მყოფი ივანე და კალისტინე კალანდაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი და საყვარელი ნათლი დედისა

პიკტო ივანეს ასულის კალანდაძისას

რომლის დაკრძალვა მოხდა ქ. ტფილისში 6 იანვარს.

ყაისარ იესეს ძე და მეუღლე მისი ივდითი გორდელაძეები და შვილები: გიორგი, დიმიტრი, ალექსანდრე, ელენე, მარიამი (ტატული) გორდელაძეები, ლეო ყაისარის ასული და ამროსი ფილატეს ძე ზიმინი, ლიდა ყაისარის ასული და მეუღლე ამისი იაკობი სამსონის ძე ორჯონიკიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს პირველი შვილი-შვილის, დანარჩენნი საყვარელი ძმის შვილის

რევაზ (რეზო) გრიგოლის ძე გორდელაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე გრიბოედოვის ქუჩა, № 4. (346—1—1)

გულდამწვარი და უბედური დეიდა ნინა ივანეს ასული ბოძისქალი აუწყებს ნათესავთ და მეგობრებს დის შვილის და მის გაზრდილის პატარა

რეზოს

დაკარგვას. დაკრძალვის დღე, 28 იანვ. საათის 3 ნახ. (346—1—1)

გულდათუთქული მშობლები გოგოლი ყაისარის ძე და ეკატერინე ივანეს ასული გორდელაძე პატარა ქალით თინათინითურთ აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს პატარა

რეზიკოს

გარდაცვალებას. ცხედრის დაკრძალვა პარასკევს 28 იანვარს დაშუადღევის 3 საათზე და 30 წუთზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. გამოსვენება ბინიდან გრიბოედოვის ქუჩა № 4. (346—1—1)

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი მამა იაკობ და და კატო სადარაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უდროვოთ დაკარგულ

ვერა სადარაძის

ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი გარდახდილ იქნება ქ. ხონში მაცხოვრის ეკლესიაზე კვირას 30 იანვარს დილის 12 საათზე.

დესპინე მიხეილის ასული, ალექსანდრე მიხეილის ძე შვილებით: ნიკოლოზ, მიხეილ, მარიამ და თამარათი და აფრასიონ კონსტანტინეს ძე ჯაფარიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 30 იანვარს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველთა ძმის, მეორეთა ბიძის და უკანასკნელის ცოლის ძმის განსვენებული

მელიტონ მიხეილის ძის ჯაფარიძის

სულის მოსახსენებლად. (345—1—1)

იყიდება შემთხვევით

სასადილო

თავისი მოწყობილობით. კუთხე გოგოლის და მილიუტინის ქ. № 16—1. (334—2—1)

სახელმწიფო ოპერა

პარასკევს 28 იანვარს პირველად განახლების შემდეგ

დონ-ჟუანი

შაბათს, 29 იანვარს ოპერა მუშებისათვის ტრავიატა კვირას 30 იანვარს ბოჰემა. ორშაბათს 31 იანვარს დონ-ჟუანი. (ნ. 1—1)

ერთობის უგნის „სამეურნეო" მუშათა საზოგადოების

გამგეობა აცხადებს, რომ კვირას 30 იანვარს კანტორის ბინაზე (სამოვოლნი ქ. № 41) შუადღის 2 საათზე დანიშნულია

წევრთა საზოგადო კრება

განსახილველია შემდეგი კითხვები:

1. გამგეობის მოხსენება.
2. ანგარიშების განხილვა.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. გამგეობის არჩევნები.
5. წესდების განხილვა.
6. მიმდინარე კითხვები.

(306—2—2) გამგეობა.

ქალაქების საყურადღებოთ

გაზეთ „ერთობის" სტამბა ამზადებს ხელმისაწვდომ ფასებში აღწერითი და პირადობის

ბარათებს

დაკვეთა სასწრაფოთ მზადდება. (3—2)

სახელმწიფო დრამის თეატრი

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

შაბათს, იანვრის 30 ს

მეორედ

სამშობლო ლიტანიით

დარჩენილი ბილეთები კასაში.

კვირას, იანვრის 30 ს

მეშვიდეთ

ბერდო-ზმანია

ყველა ბილეთები გაყიდულია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (ნ. 2—1)

ვყიდი საქსოვ

„სტანოკს"

რომელსაც აქვს ინგლისური „ჟაკარტი" რომელზედაც შეიძლება მოიქსოვოს ყოველგვარი „ფაბრიკული უზორები", „სტანოკის" ნაწილები. ორი ფოლადის სავარცხელი, ორი ფოლადის დგიმები. მასთან ძაფების საქსელავი ბარაბანი, ერთი სართავი მაშინა, ხუთი კოჭით, ზედ არის მოწყობილი ძაფის სახვევიც, კიდე ჩულქის საქსოვი მაშინა თავისი მოწყობილობით. ვყიდი ხელსაყრელ ფასებში. მისამართი ქ. ქუთაისი, სადგურთან, ჯანელიძის სახლში. ნესტორ კობრეიძეს. (341—1—1)

თფილისის კავშირი 4 ამქართა

იუველირების, გრავერების, მესაათეების და მევერცხლეების (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის მიერ 1920 წ. № 110 067, ამით აუწყებს ზემოთ აღნიშნულ კავშირის ხელოსანთ, რომ დღიდან გამოცხადებისა, ამქრების წევრებათ ჩაწერა სწარმოებს კავშირის ხაზინადარ ს. სტეფანოვთან, დამფუძნებელი კრების ქუჩაზე ქართული კლუბის ეზოში № 28 დილის 10 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 4-დან 6 საათამდე.

(338—1—1) გამგეობა.

ახალის ტალახით

სამკურნალო

ექიმ

მ. ს. ზერნოვისა

კირპიჩნი შესახვევი № 13, ბელინსკის ქუჩასთან. (22 თიბ.)

ჯამაგირების მომატება და სახელმწიფო ეკონომია

დემოკრატიის ფართო წრეებში უკვე მტკიცეთ გაიდგა ფესვი იმ შეგნებამ, რომ უბრალო არითმეტიკული გადიდება ჯამაგირებისა ისეთი ზომაა, რომელსაც არ შეუძლიან საფუძვლიანათ და რამდენათმე ხანგრძლივათ შეამციროს ის გაძვირება, რომელსაც განიცდიან მუშა-მოსამსახურენი ფულის ნიშნების კურსის დაცემის გამო. ახალი მომატება ჯამაგირებისა იწვევს ფულის ნიშნების ბეჭდვის გაძლიერებას და ეს გამოშვება კი, თავის მხრით, მიზეზი ხდება ფულის კურსის დაცემისა და საქონლის გაძვირებისა. მაშასადამე რასაც მუშა-მოსამსახურენი მოიმატებენ ჯამაგირით, ის მათ დააკლდებათ საქონლის გაძვირების გამო. ეს, ვიმეორებთ, უკვე მტკიცეთ აქვს შეგნებული ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქეს.

მიუხედავათ ამისა ჩვენი ქვეყნის გარეშე—პოლიტიკური მდგომარეობა ისეთია, რომ მუშა-მოსამსახურეთა აუტანელი მდგომარეობის გასანელებლად ამ ხანად შეუძლებელი ხდება სხვა, უფრო მკვიდრი და საფუძვლიანი ზომების გატარება, გარდა იმავე დროებითი საშუალებისა, რომლისათვისაც არა-ერთხელ მიუმართავს ჩვენს რესპუბლიკას. სახოვაგეო, რომელსაც შოულობს სახელმწიფო, თითქმის მთლად სჭირდება შეიარაღებული ძალის კვებას და შენახვას. თოფ-ქვეშ დგომა ხალხის საუკეთესო ნაწილის, რომელიც ყველაზე მეტათ არის დაჯილდოვებული საშუშაო უნარით, აკლებს ჩვენს ქვეყანას იმ რეალურს სიმდიდრეს, რომლის შექმნაც შეეძლოთ ჯარში გაწვეულს მოქალაქეებს გართულებულ და გამოურკვეველი, მაგრამ ცხადათ არა-მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ჩვენ მიმართ უჭირავთ ჩვენს მეზობლებს, ასუსტებს შინაურს ძალღვის ცემას, მის მიმოსვლას, საქონლის გაცვლა-გამოცვლას, სოფლისა და ქალაქს შორის კავშირს. ამ პირობებში შეუძლებელი ხდება დღეისვე სავსებით გატარება იმ ზომისა, რომელიც ყველას შეგნებაში ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებათ არის მიჩნეული კრიზისის გასანელებლად და მუშა მოსამსახურეთა მდგომარეობის გამოსასწორებლად,—ხელფასის ნატურალიზაციისა, ბონების რიცხვის მომატების მაგივრად კურსით-სანოვაგის დარიგებისა.

დღეს-დღეობით ჯერ კიდევ ვერ ხერხდება ამ ზომის სათანადოთ გატარება და ერთხელ კიდევ დაგვჭირდება მიემართოთ ჯამაგირების მომატებას. მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ უნდა გამოვნახოთ სხვა ზომები, რომლებიც რამდენათმე მაინც გაანელებენ ჯამაგირის მომატების მავნე გავლენას. ჩვენი ცდა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ჯამაგირების გადიდებამ არ გამოიწვიოს, ან რაც შეიძლება ნაკლებ გამოიწვიოს, ბონების ზედმეტი რიცხვის დაბეჭდვა.

ეს კი შესაძლებელია თუ ჩვენი სახელმწიფო მტკიცედ დაადგება ხარჯების შემცირების და ყაირათიანობის გზას. სახელმწიფო მოსამსახურე—მოხელეთა რიცხვის შემცირება არა—ერთხელ მდგარა ჩვენს წინაში, ნაწილობრივ ეს ზომა არა-ერთხელ გატარებულა კიდევაც. მაგრამ საგრძნობი ნაყოფი ამ ზომას არც ერთხელ არ მოუტანია, რადგან იგი არ გატარებულა სათანადო საფუძვლიანობით. რაც შეიძლება უკეთესად დავაკმაყოფილოთ მუშა-მოსამსახურენი, მაგრამ რაც შეიძლება მეტი ნაყოფიერება მოვითხოვოთ მათგან,—აი ის საშუალება, რომლითაც შეიძლება რამდენათმე მაინც გავანელოთ ჯამაგირის გადიდების ცუდი მხარეები.

მეორე, ზემოხსენებულის მსგავსი და მასთან დაახლოვებული ზომაა—ნაჭრობლივი მუშაობის გაძლიერება და ზედმეტი მუშაობისათვის პრემიების დაწესება. ამ ორ ზომას უკვე კარგა ხანია მიაღწევ როგორც მუშათა ხელმძღვანელი წრეები, ისე ჩვენი სახელმწიფოს მეთაურნი. ნაჭრობლივი მუშაობა უკვე გატარებულია ბევრს საწარმოო დაწესებულებებში. პრემიების სისტემის შემოღების აზრიც უკვე დაბადებულა შრომის სამინისტროში: როგორც გადმოგვცეს გაზეთებმა სამინისტროს შეუმუშავებია პრემიებით დაჯილდოება მეთამბაქოებისა, მუშავდება ასეთივე ზომა მბეჭდავთათვის, ავეჯის მკეთებელთათვის, არსენალის მუშათათვის. სამინისტროს შემდეგი ნაბიჯიც გადუდგამს და ამუშავებს პრემიების სისტემას არსენალის კანტორის მოსამსახურეთათვის. თუ ეს მუშაობა კარგათ დამთავრდა, შესაძლებელი გახდება პრემიების სისტემის შემოღება კანცელარიებში მოსამსახურეთათვისაც და საერთოდ სახელმწიფო მოხელეთათვისაც. ეს საქმე ღირსია იმისა, რომ მას სერიოზული ყურადღება მიექცეს.

ჩვენ მუდამ ვეწინაღმდეგებოდით და დღე აც ვეწინაღმდეგებით დაქირავებული შრომის მეტის-მეტს ექსპლოატაციას. მაგრამ საზოგადოების და სახელმწიფოს ცხოვრებაში არის ხოლმე განსაკუთრებული მდგომარეობა, როდესაც ყოველს მოქალაქეს მოეთხოვება რაც შეიძლება მეტათ დასძაბოს ძალღვები, რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი მოიტანოს საზოგადოების საკურთხეველზე, არ უთვლიდეს სახელმწიფოს ამ მსხვერპლის რაოდენობას. ასეთი წამი ადგია დღეს ჩვენს დემოკრატიულს სამშობლოს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ის ძნელი პირობები, რომლებშიაც ცხოვრობს ჩვენი რესპუბლიკა, დროებითია და წარმავალია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ირგვლივ შეკრებილი შავი ღრუბლები გაიფანტება. ჩვენ მხოლოდ ის გვჭირია, რომ ამ გარდამავალ დროში თავი გავატანიოთ ჩვენს რესპუბლიკას. ამ შეგნებით უნდა იყოს გამსჭვალული ყოველი მოქალაქე, ყოველი ერთგული შვილი თავისი დემოკრატიული სამშობლოსი.

თეორია და პრაქტიკა

II

მოსაზრების საკითხი.

ბურჟუაზია მეფობს ეკონომიურათ, თუმცა ამ მეფობას არ აქვს ადგილი წარმოებაში, საქართველოში არ არის ისეთი ბურჟუაზიული კლასი, რომელიც ეწევა შრომის ექსპლოატაციას და ჯიბეში იდებს ზედმეტ ღირებულებას. ამითი გაირჩევა ჩვენი ქვეყანა კაპიტალისტური ქვეყნებისაგან. იქ ყველგან დღესაც ბურჟუაზიის სიმდიდრე მატულობს, მუშათა კლასის მდგომარეობა კი უფრო და უფრო უარესდება. აქ არ არის ეს ორი კლასი ერთმანეთის წინააღმდეგ ასე დაპირდაპირებული. კერძო კაპიტალს აქაურ წარმოებაში უმნიშვნელო ადგილი უჭირავს. საქართველოს მშრომელ ხალხს არ შეუძლია თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ მოთხოვნები წარუდგინოს მეორე კლასს, თავის მოწინააღმდეგეს. მოთხოვნებით ის მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოს მიმართავს, სახელმწიფო კი მისივე ორგანოა.

ეს შეგნება ახლა საკმაოთ არის ფეხმოკიდებული მშრომელი ხალხის წრეებში. იცის ხალხმა, რომ ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებელი მოთხოვნებით დღეს მხოლოდ თავის თავთან აქვს საქმე. დღევანდელ მუშათა მოძრაობაში არ ყოფილა და არც არის სახელმწიფოს წინააღმდეგი გამოსვლა. ბურჟუაზიულ ქვეყნებში მუშა ანგარიშს არ უწევს სახელმწიფოებრივ ინტერესებს, იქ მისთვის სულ ერთია, გაუძლებს თუ არა სახელმწიფო ქვეყნიდან წაყენებულ ეკონომიურ მოთხოვნებს. ჩვენში, კი ამას ყოველთვის მუშათა კლასი ანგარიშს უწევს, უარჰყოფს თითონვე ისეთ რამეს, რაც მთელი წესწყობილების საძირკველს შეარყევს.

საქართველოს მშრომელმა ხალხმა კარგათ შეიგნო, რომ მისი მდგომარეობის გაუკეთესება მოითხოვს წარმოების განვითარებას, საწარმოო ძალების აღორძინებას. უამისოთ ეს ვერ შეებრძოლება და რასაკვირველია ვერც დაამარცხებს სპეკულიატიურ კაპიტალს. სპეკულიაცია ხარობს იქ, სადაც საქონლის ნაკლებობაა, სადაც წარმოება დარღვეულია ან სუსტია. ბაზარზე რომ საკმაო საქონელი საკმაოთ იყოს, სასპეკულიაციო ნიადაგი მოისპობა.

ამიტომ არის ჩვენი მმართველი პარტიის მთავარი ყურადღება მიქცეული საწარმოო ძალების განვითარებისკენ. ამისთვის ცდილობს ის თავის პოლიტიკური ბატონობის გამოყენებას. აქეთკენ არის მიმართული მუშეთა მოძრაობაც. ხშირათ კრებებზე, ფაბრიკა ქარხნებში, თუ პროფესიონალურ კავშირებში მუშებს გამოაქვთ დადგენილებები, ჩვენ თითონ უნდა გამოვიჩინოთ თაოსნობა წარმოების განვითარების საქმეშიო.

მოწინავე მუშებმა კარგათ შეიგნეს მეორე საანბანო ჭეშმარიტებაც, მიხვდენ დიდი ხანია, რომ ამ დიდ ეკონომიურ მიზანს—საწარმოო ძალების ზრდას და წინმსვლელობას საშინლათ უშლის ხელს ფულის გაიაფება. ძნელია და შეუძლებელიც საზღვარ-გარეთიდან რამის ყიდვა-შემოტანა, აქ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის ამუშავება, როცა ფული ფულს არ გავს, როცა მისი ღირებულება დღითი დღე ეცემა.

ჩვენ ვერ ვახერხებთ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას. რამდენი თვე გავიდა, მაგალითად, იმ თათბირის შემდეგ, რომელმაც მიიღო მშვენივრათ დალაგებული რეზოლიუცია ახლანდელი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. არც ერთი საყურადღებო ნაწილი ამ რეზოლიუციის არ განხორციელებულა. ცოცხალი, მიზანშეწონილი თეორია დარჩა ქაღალდზე, პრაქტიკა წავიდა თავისი გზით.

ყოველ დღე ველით შიშით, რომ ეს გზა საცაა გაუვალ ადგილს მიგვიყვანს. ამ გზაზე იძულებული ვხდებით ხშირად მივმართოთ ხოლმე ისეთ საშუალებას, რომელიც არღვევს ჩვენსავე ეკონომიურ თეორიას.

რამდენჯერ გვითქვამს მუშებისთვის, რომ ხელფასის მომატება ვერ გამოაკეთებს მათ მდგომარეობას. მუშებმა შეითვისეს ჩვენი ნალაპარაკები და ძალიან იშვიათად მოითხოვდენ პირდაპირ მომატებას. გამოცდილებამ დაანახვა მათ ეს. არ შეეძლოთ არ დაენახათ, რომ სწორედ ჯამაგირების პროცენტულათ გადიდების შემდეგ მატულობდა მათი გაჭირვება.

რასაკვირველია მომატება მავნებელია იმდენათ, რამდენათაც ის მოითხოვს მეტი ფულის დაბეჭდვას და გამოშვებას. ფულის ფასი არ დაეცემა მარტო მუშის ხელფასის გაორკეცებით. ფასი ეკარგება ფულს მარტო მაშინ, როცა თანდათან მეტი და მეტი ფული გამოდის ბაზარზე. ამ უბრალო ჭეშმარიტებას ასაბუთებს ფულის ისტორია ყველა ქვეყნებში. ყველგან და ყოველთვის ასე იყო, რომ რაც უფრო ბევრი ფული იბეჭდებოდა, იმდენათ იაფდებოდა ის, და იმდენად ძვირდებოდა დანარჩენი საქონელი.

ხელფასის მომატებისთვის საჭიროა მომეტებული ფულის ნიშნები. ამიტომ არის მავნებელი მომატება. ეს მავნებლობა რომ თავიდან ავიცილოთ, სადმე სხვა დარგში რაღაცა უნდა გამოვაკლოთ, სადმე უნდა შევამოკლოთ ხარჯები. თუ ჯამაგირებს ვადიდებთ, ვსთქვათ, ასი პროცენტით, სხვა რომელიმე გასავალი უნდა შევამციროთ იმავე რაოდენობით. მხოლოდ ამ შემთხვევაში აღარ იქნება საშიფათო ხელფასის მომატება.

ერთი წყლული გვაქვს ჩვენ ეკონომიურ პოლიტიკაში. ვაკეთებთ, რაც უფრო გვიადვილება. მივდივართ ხოლმე, როგორც რუსები იტყვიან, по линіи наименьшаго сопротивленія. ადვილი მოსახერხებელია ფულებით მიმატება და ვუმატებთ, თუმცა ვიცით, რომ ამის არ მოჰყვება სასურველი შედეგი, უფრო ძნელია მომარაგება, დამზადება და იაფფასებში მიწოდება მშრომელი ხალხისთვის იმისა, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ვერ ვკიდებთ ხელს ამ ძნელ საქმეს, თუმცა ვიცით, რომ ის საბოლოოთ უფრო გაგვიადვილებს მთავარი ეკონომიური საკითხის გადაჭრას.

მთავრობის უკანასკნელი დადგენილება ხელფასის ასი პროცენტით მომატების შესახებ—ეს არის საქმის გაადვილება სადღეისოთ და საქმის გაძნე-

საქართველოს ს.-დ. მუშ. პარტიის ცენტ. კომიტეტისაგან

თანახმად პარტიულ კონფერენციის დადგენილებისა ც. კ. აცხადებს, რომ თუ ის ამხანაგები, რომელნიც „ახალ სხივში" თანამშრომლობდენ ან ამ ჯგუფის სახელით პარტიულ კონფერენციაზე და დამფ. კრების ს.-დ. ფრაქციაში გამოდიოდენ,—ამ წლის პირველ თებერვლამდე არ განუცხადებენ ცენტრ. კომიტეტს, რომ მათ უკვე გასწყვიტეს ყოველივე კავშირი ანტი-პარტიულ ორგანო „ახალ სხივთან",—პარტიიდან გასულად ჩაითვლებიან და დაჰკარგავენ მანდატს, რომლითაც ისინი პარტიამ აღჭურვა.

ამასთან ცეკა აცხადებს, რომ აზრთა სხვადასხვაობას პარტიაში ადგილი მიეცემა თანახმად კონფერენციის დადგენილების მესამე და მეოთხე მუხლისა.

ცენტრალური კომიტეტი.

ლება სხვალიოთ. ეს არის გადალახვა იმ თეორიის, რომლითაც ვხელმძღვანელობთ ჩვენ. ეს არის გადატრიალება ყველა ჩვენი ხელმძღვანელი ორგანიზაციების დადგენილების.

ან უნდა შეიცვალოს ეს პრაქტიკული ნაბიჯი, ან უნდა გადაიდგას მეორე ნაბიჯი, რომელიც პირველის აუცილებელ შედეგს არ მისცემს გზას. მმართველმა წრემ უნდა მიიღოს ისეთი სასწრაფო ზომები, რომ სახელმწიფოს სხვა ხარჯების შემცირებით მაინც საჭიროთ არ გახადოს მეტი ფულის გამოშვება. საჭიროა ამასთანავე მუშა მოსამსახურეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ დაუყოვნებლათ ნატურალიზაციის გზაზე გადასვლა.

პატარა გაბრუნდებით შეიძლება მთელი ხაზის გაფუჭება. თავისთავად პატარა ფაქტია პროცენტულათ ხელფასის გადიდება, მაგრამ ეს შეუძლებლათ გახდის საერთო ეკონომიური პოლიტიკის გატარებას. ამას კი თავიდან ავიცილებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთ ალაგზე დაკარგულს მეორეზე შევცვლით.

ს. დევდარიანი.

პრესა

რეაქციონერთა გაერთიანებით ლონემოცემული „საქართველო" უკვე ყიჟინას გვცემს და შეტევაზე გადმოდის. იმ წერილის გამო, რომელიც ჩვენ ვუძღვენით არა სოციალისტურ პარტიათა კონფერენციას, ეს გაზეთი ასეთ სტრიქონებს სწერს:

„იდეურად გაკოტრებული პარტია, რომლის სახელმწიფოებრივ ბატონობის ჟამსა საქართველო კულტურულადაც, გონებრივადაც და ნივთიერადაც ისე დაქვეითდა და დაეცა, როგორც არასდროს თავისი პოლიტიკური თვითმყოფობის უხსოვარ დროიდან, ეხლა გამოდის და ლაზღანდარულად ითვლის თავის ღვაწლს ქართველი დემოკრატიის წინაშე. ის ადამიანები, რომელთა სამშობლოს ხსენება გონებას ურევდა და ათეული წლების მანძილზე ქართველი ხალხი ეროვნული გადაგვარებისაკენ მ ჰყავდათ; ისინი, ვინც მანიაკური გატაცებით იბრძოდენ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და თვით ობიექტიურ პირობებს, ისტორიის „ჩარხის ტრიალს" უძალიანდებოდენ; ის მართლაც „ნაძლადევი პატრიოტები", რომელნიც დღე მუდამ სტიროდნენ „საწუხარო მოვლენის შედეგების გამო" და დღესაც იმედს არ ჰკარგავენ, რომ შეიქმნება ისეთი კონიუნქტურა, როდესაც შესაძლებელი გახდება „დიდ პოლიტიკურ ერთეულში შესვლა", რაიც ამ პოლიტიკური მახინატორების შეხედულებით ფრიად არგებს „საქართველოს საწარმოო ძალთა განვითარებას"—აი ესენი ვერ ურიგდებიან იმ ფაქტს, რომ საქართველოში თანდათანობით ფეხს იკიდებს და ძლიერდება ის მიმართულება, რომლის პოლიტიკურ იდეალს შეადგენს საქართველოს ეროვნული თავისუფლება და დამყარება ნამდვილი ხალხოსნური, დემოკრატიული წესწყობილებისა".

გაერთიანებულ რეაქციონერთა გაზეთი, აშკარაა, გამოლმა გვედავება. მან კარგათ იცის, რომ საქართველო კულტურულად და გონებრივად, პირიქით არას დროს იმ სიმაღლეზე არ ყოფილა ასული, როგორც სწორედ დღეს, სოც.-დ.-ის „ბატონობის ჟამს", და თავის დღეში არ ყოფილა ისე დაქვეითებული და ზნეობრივათ გათახსირებული, როგორც იმ დროს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ნაც.-დემოკრატიული სულიერი განწყობილება იყო შეურყევლად გაბატონებული, მან კარგათ იცის ისიც, რომ საქართველოს დღევანდელი ნივთიერი დაქვეითება სოც.-დ.-ას კი არ შეუქმნია, არამედ გამოწვეულია იმ წესების მიერ, რომელთა მესვეურთ ნაციონალ-დემოკრატები მუდამ ფეხთ ულოკავდენ.

რაც შეეხება ჩვენს „ანტი პატრიოტობას", ჩვენს დემოკრატიას იმ თავითვე ესმოდა „ჭეშმარიტ მამულიშვილთან" ფარისევლური ლათაიები ს.-დ.—ის „მოღალატეობაზე", „სამშობლოს გამყიდველობაზე", მაგრამ მან კარგათ აწონ დაწონა ამ ლათაიების ფასი. დღესაც შეცდომაში ვერავის შეიყვანს „საქართველო"-ს რწმუნება, ვითომც სოც.-დ. „სტიროდეს" საქართველოს დამოუკიდებლობის გამო. დემოკრატიამ კარგათ იცის, რომ, თუ ჩვენი სპეკულიანტების და გაკოტრებულ მემამულეთა ჯიბის ინტერესები მოითხოვენ სამშობლოს გაყიდვას ნარდათ და ნაჰრობლივ, ისინი ამის წინ არ შედრკებიან. ისევე, როგორც ამის წინ არ დრკებოდა მათი მამა პაპა, ლუარსაბ თათქარიძეები.

საქართველო და რუსეთი

საბჭოთა ორგანოების განცხადების გამო, თითქოს საქართველომ დაარღვია რუსეთთან დადებული ხელშეკრულება, ჩვენ გვატყობინებენ: საქართველოს რუსეთთან დადებული არავითარი ხელშეკრულება არ დაურღვევია, იანვრის 10—13 თანახმად ოფიციალურ აქტებისა, რომელსაც რ. ს. ფ. ს. რ მხრით ხელს აწერს კონსული ზვერევი და მისი მრჩეველი საზღვაო საქმეებში სტრახოვი, ფოთისა და ბათომის ნავთსადგურებში მოხდა საქართველოს ნავთსადგურებში რუსეთის ყველა გემის მიღება. საქართველოს მთავრობას საქართველოში მყოფ რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლების თანამშრომლების მიმართ არავითარ რეპრესიებისათვის არ მიუმართავს და თუ რომელიმე მათგანის წინააღმდეგ მთავრობა იღებდა ამა თუ იმ ზომებს, ეს იყო გამოწვეული ამ თანამშრომლების რესპუბლიკის შინაურ საქმეებში ჩარევით და კომუნისტურ პარტიაში არალეგალური მუშაობის წარმოებით. საქართველოში, სადაც არსებობს დაკანონებული დემოკრატიული გარანტიები ამა თუ იმ პარტიის წევრობისათვის არავის არ სდევნიან. ყველა პარტიებს, და მათ შორის კომუნისტურ პარტიას, მიცემული აქვთ საშუალება და უფლება თავისუფალ არსებობისა. და თუ კომუნისტებს სდევნიან, ის გამოწვეულია მათი მოქმედებით, რომელიც მიმართულია საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ, და რომლის მიზანს შეადგენს შეიარაღებული ძალით საქართველოში არსებული მთავრობის ჩამოგდება. 14 ნოემბერს დადებული სავაჭრო-სატრანზიტო ხელშეკრულება დაარღვია რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. თუმცა ამისათვის საქართველოს არავითარი საბაბი არ მიუცია. წინააღმდეგ ზემო მოყვანილ შეთანხმებისა საქართველოს 5 დეკემბრიდან არ მიუღია არც ერთი ცისტერნი ნავთი. ალკვეთა, რომელიც დაადვა მთავრობამ საქართველოში არსებულ რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. ქონებას, გამოწვეულია, თანახმად ურთიერთობის პრინციპისა იმით, რომ რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. მთავრობებმა დააკავა საქართველოს 6 სამარშრუტო მატარებელი 240 ცისტერნის და 12 ორთქლმავალის შემადგენლობით მათი ბრიგადებით, რომელიც გაგზავნილი იყო ბაქოში ნავთის პროდუქტების მოსატანათ. რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. მთავრობებმა არა თუ დააკავეს საქართველოს სამარშრუტო მატარებლები და დაატუსაღეს მათი ბრიგადები, არამედ თვითნებურად სარგებლობენ საქართველოს ქონებით, რითაც ისინი საქართველოს ხალხში იწვევენ აღშფოთებას და ართმევენ რწმენას რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. მთავრობებთან კეთილმეზობლურ დამყარების შესაძლებლობაში. რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობის დიპლომატიური შიკრიკი გაძარცული კი არ ყოფილა, არამედ—ჩხუბის დროს, რომელიც მას მოუვიდა იტალიის გემ „ფრანც ფერდინანდზე" ვიღაც უცნობთან, იგი გაქურდეს. ბოროტმოქმედის აღმოსაჩენად საქართველოს მთავრობის მიერ ენერგიული ზომები არის მიღებული. (სდი).

კ. კაუცკის წერილი ნ. ჟორდანიასადმი

კონსტანტინოპოლი, 10 იანვარი 1921 წელი.

ჩემო ძვირფასო მეგობარო!

ჩემი და ჩემი მეუღლის სახელით მსურს თქვენის საშვალებით უგულითადესი მადლობა ვუძღვნა ქართველ ამხანაგებს და მეგობრებს იმ სიყვარულის გამო, რომელიც გამოიჩინეს მათ ჩვენდამი საქართველოში ყოფნის დროს.

სიყვარულის ის გრძნობა, რომლითაც ჩვენ შეგვეგებენ თქვენს ქვეყანაში ჩამოსვლისას, ერთ წუთსაც არ შენელებულა და ამას ახლაც კი ვგრძნობთ,—თქვენი ქვეყნის გარეშე: სადაც კი შევხვდით ქართველებს, ყველგან სიყვარულით გვეგებებიან,—მაგ. სტამბოლში, თქვენს საელჩოში.

ჩვენ მოგზაურობა გვიხდება მეტად კარგ პირობებში. შავი ზღვა, რომელიც შიშს გვიძრგავდა, ამ შემთხვევაში შემბრალე აღმოჩნდა და აქ, სტამბოლში, საუცხოვო მზიანი ამინდით შეგვხვდა.

ყოველივე ის, რაც აქ ჩვენ მოვისმინეთ, მოწმობს, რომ თქვენი დამოკიდებულება მეზობლებთან თანდათან უკეთესდება და ეს უფრო ამტკიცებს ჩვენს სულიერ განწყობილებას. ყოველი თვე, რომელსაც თქვენ მშვიდობიანათ გაატარებთ, მოგიტანთ დიდ სარგებლობას, თუ მას გამოიყენებთ თქვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის განსამტკიცებლად და გასაფართოვებლად, რაც, ჩემის აზრით, არის თავი და ბოლო არა მარტო საქართველოს განმტკიცების და აღორძინების საქმეში, არამედ—მთელი მსოფლიოსათვისაც. საერთაშორისო ზავი რუსეთთან ამ მხრით მიმაჩნია მე საჭიროთ. როგორც ნედლი მასალის და ინდუსტრიის საქონლის მიმწოდებელს,—რუსეთს, ჯერ არ ექნება დიდი მნიშვნელობა, მაგრამ აღდგენილ იქნება თუ არა მიმოსვლა და დანგრეული ტრანსპორტის საქმეც მოგვარდება, რასაც ხელს უშლის საზღვრებზე სამხედრო მდგომარეობა და თვით შინაური მდგომარეობა რუსეთის, მაშინ რუსეთი დიდ როლს ითამაშებს აღმოსავლეთში.

წერილი უნდა გავათაო. გემი 1—2 საათის შემდეგ დაიძვრის. კიდევ ერთხელ გულითად მადლობას გიძღვნით და გისურვებთ ყოველივე კარგს თქვენ და ყველა მეგობრებს და ამხანაგებს.

მხურვალედ გართმევთ ხელს.

თქვენი ერთგული კარლ კაუცკი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

იანვრის 27.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური).

თათართა რესპუბლიკაში.

თათართა რესპუბლიკის სახალხო საბჭოთა კომისარიატმა დაადგინა: გაიწვიოს სასოფლო სამეურნეო სამსახურში ყველა სპეციალისტები სქესისა და წლოვანების განურჩევლად, რომლებიც აღნიშნულ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრობენ. სასოფლო მეურნეობის ყველა სპეციალისტი ვალდებული არის გამოცხადდეს 10 დღის განმავლობაში ტეხნიკურ ძალთა აღწერის განყოფილებაში, რომელიც თათართა რესპუბლიკის შრომის კომისარიატთან არის დაარსებული.

სურსათ-სანოვაგის დასამზადებლად.

თურქესტანის პროფ. კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ გამოაცხადა პროფ. კავშირთა პროცენტული მობილიზაცია სურსათ-სანოვაგის დასამზადებლად. გაწვეულნი იქნებიან ქალებიც.

ლატვიაში.

მოსკოვი. სრულიად ლატვიის პროფ. კავშირთა ბიურომ მთავრობას შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინა: მუშათა ორგანიზაციების დევნის შეწყვეტა, რვა საათის სამუშაო დღე, გაფიცვის თავისუფლება, უმუშევართათვის საზოგადო მუშაობის მოწყობა და უმიწაწყლოთათვის მიწების დარიგება.

შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკა.

შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევის დროზე ბოლშევიკებმა მიიღო 147 ადგილი, მემარჯვენე პარტიებმა 19 ადგილი, მენშევიკებმა და ესერებმა 30 ადგილი და გაურკვეველ პარტიებმა 78 ადგილი.

ლენინის ცირკულიარი.

სახალხო საბჭოთა კომისარიატის თავმჯდომარის ლენინის ხელის მოწერით სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზების ორგანოებს შემდეგი ცირკულიარი დაეგზავნა: რკინის გზაზე მოსამსახურენი, მიუხედავათ მათი თანამდებობისა, ვალდებულნი არიან გამოიჩინონ უდიდესი ენერგია და უზრუნველყონ სურსათ-სანოვაგით დატვირთული სამარშრუტო მატარებლების მოძრაობა, რომლის სისწრაფე დღე ღამეში უნდა იყვეს არა ნაკლებ 150—200 ვერ.

ფრანგული ცნობები

რუმინეთი და რუსეთი.

ლიონი, 26 იანვ. იმ საშიშროების შესახებ, რომელიც ბოლშევიკებისაგან რუმინეთს, ტაკე იონესკომ სთქვა: „ჩვენ მივიღეთ ცნობა მოსკოვიდან, როგორც რადიოთი, ისე შუამავალთა საშუალებით, რომ წითლებს არა აქვთ არავითარი განზრახვა მტრული ჩვენს წინააღმდეგ და რომ მათ, პირიქით, სურთ ჩვენთან ოფიციალური დამოკიდებულების აღდგენა. ჩვენ ოფიციალურათ გავერკვიეთ, რომ ბესარაბიის საზღვარზე წითელი ჯარების თავის მოყრა არ მოასწავებს შეტევის დაწყებას და რომ იგი გამოწვეულია ზამთარში ჯარის დაბანაკების საკითხით. . (გამოტოვებულია)... შეეხო რა იმ კავშირს, რომელშიაც იღებენ მონაწილეობას რუმინეთი, პოლონეთი, ჩეხო-სლოვაკია და სამხრეთ სლავია, იონესკომ იმედი გამოსთქვა, რომ ამ ხალხთა შორის არსებობს სრული თანხმობა უნგრეთთან დადებულ ხელშეკრულების განხორციელების საკითხში... (გამოტოვებულია) ..

გერმანული ცნობები

მინსკში.

ნაუენი: 26 იანვ. (დასაწყისი არ მიგვიღია) მინსკიდან დაბრუნებულმა პირმა ინტერვიუს დროს განაცხადა: მცხოვრებთა მდგომარეობა საშინელია, ხალხი შიმშილით იხოცება. ის ვინც აღრიცხული არის, დღეში იღებს ¼ გირ. პურს, ბავშვები კი 5 გირ. ორი კვირის განმავლობაში. ფუთი კარტოფილი ღირს 7000 მანეთი, გირ. პური 500 მანეთი, ხორცი 3000 მანეთი, ერბო 12.000 მ., ბოთლი რძე 1200 მანეთი.

ებრაელთა საკითხი.

ებრაელთა გავლენიანი წრეები აგიტაციას აწარმოებენ ეროვნულ გერმანულ ებრაელთა პარტიის დაარსების სასარგებლოთ, ვინაიდან ბრძოლა ანტისემიტიზმის წინააღმდეგ, რომელსაც აწარმოებს ებრაელთა ცენტრ ფერეინი უშედეგოა. ფიქრობენ, რომ გაერთიანების გზით ისინი დიდ შედეგს მიაღწევენ. ასეთი მისწრაფება ერთგვარ საშიშროებას სწვევს. პაულ ნოტანი ახალი პარტიის წინააღმდეგია. მიუნხენის პარლამენტში დიდი კამათი მოხდა იმ დევნის გამო, რომელსაც განიცდიან ებრაელები ბავარიაში.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

გერმანია და პოლონეთი.

პარიზი. თანახმად „ეხო დე პარი"-ს ცნობებისა, ბერლინში დაიწყო მოლაპარაკება [illegible] პოლონეთის წარმომადგენლებს შორის [illegible] ხელშეკრულების დადების შესახებ. ორივე წარმომადგენლებმა განაცხადეს დიდი სურვილი ასეთი ხელშეკრულების დადებისა. თანახმად ხელშეკრულების პროექტისა, გერმანიამ უნდა დაუბრუნოს პოლონეთს მის მიერ დაკავებული ორთქლმავლები და ვაგონები. პოლონეთმა კი უნდა დაუთმოს იმ საკითხში, რომელიც ეხება გერმანიის ჩამორთმეულ ქონების ლიკვიდაციას.

მცხოვრებთა რაოდენობა დედამიწის ზურგზე.

ნიუიორკი. თანახმად მეცნიერულ სტატისტიკის ცნობებისა ამ ჟამათ მთელი ქვეყნის მცხოვრებთა რიცხვი უდრის 1,699,000,000 კაცს. მათ შორის ძველ კონტინენტზე ითვლება 1,494,000,000 ახალზე კი 205,000,000 კაცი.

აჯანყება მოსკოვში.

პარიზი. „ჟურნალ დე დება" გადმოგვცემს: „ჰელსინგფორსიდან უწყებიან, მოსკოვში წითელარმიელთა შორის კვლავ მოხდა აჯანყება. მათ უნდოდათ დაეკავებიათ საარტილერიო პარკი, რომელიც ქალაქის განაპირა მიდამოებში არის მოთავსებული. დეკემბრის 24 დამოკიდებულება მოსკოვსა და პეტროგრადს შორის შეწყდა. შემოწმებულ ცნობების უქონლობის გამო, ძნელია გავერკვიოთ იმ მოვლენებში, რომელიც მოსკოვში ხდება. შეგვიძლია მხოლოდ ერთი ვსთქვათ; მოსკოვში მდგომარეობა ყოველდღე რთულდება".

რუსეთის ჯარი ლატვიის საზღვრებში.

თანახმად მოსული ცნობებისა საბჭოთა ცხენოსან ჯარის რაზმმა მოახდინა დაჭერვა ლატვიის ტერიტორიაზე. ამ ფაქტმა რიგაში დიდი შიში გამოიწვია.

ანგორაში.

„ლიმფორმაციონი" იუწყება: ეროვნულმა ყრილობამ ანგორაში გამოაქვეყნა დეკრეტი მობილიზაციის შესახებ, რომლის ძალით ჯარში გაწვეული იქნებიან ყველა მამაკაცი მუსულმანი და არა მუსულმანი 20 დან 30 წლამდე.

ავსტრია და უნგრეთი.

ვენა. უნგრეთის მთავრობამ აცნობა ავსტრიას, ავსტრიასა და გერმანიას შორის ეკონომიურ დამოკიდებულობის შეწყვეტის შესახებ. უნგრეთი იმედოვნებს ამ გზით მოახდინოს გავლენა ავსტრიაზე და ათქმევინოს მას უარი დასავლეთ უნგრეთზე.

სუხარევკა.

მოსკოვი. მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭომ დაადგინა: მოსპოს „სუხარევკა", რომელიც ამ ჟამად რუსეთში ერთ ერთ დიდ სპეკულიანტების მოქმედების თავისუფალ ასპარეზათ ითვლება.

ქემალ-ფაშის საზავო პირობები.

ლონდონი. „დეილი ექსპრესი" ბეჭდავს კონსტანტინოპოლში მყოფ თავის კორესპონდენტის მიერ გამოგზავნილ შემდეგ დეპეშას: „მე მივიღე დეპეშა მუსტაფა ქემალისაგან. ეს დეპეშა არის პასუხი ჩემ თხოვნაზე, ეცნობებინა ჩემთვის საზავო პირობები: „ზავის პირობები დამოკიდებულია იმ ეროვნულ ყრილობისაგან, რომელიც მოწვეულია ანგორაში ოსმალეთის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფათ. ოსმალეთის ხალხ

ნოე ჟორდანიას სიტყვა

წარმოთქმული დამფუძნებელი კრების 17 იანვრის სხდომაზე.

(სტენოგრაფიული ანგარიშიდან)

ბ. რცხილაძემ ჩვენ გვისაყვედურა, რომ თურმე ჩვენ დიდი ხანია ომიდგან გამოვედით, მაშასადამე, არავითარი არაჩვეულებრივი საქმეები და გასავალი არ გვქონია, მაგრამ, მიუხედავად ამისა მაინც დავანგრიეთ ის, რაც გვქონდათ. ბ. რცხილაძე დიდი ხანია აქ არ ყოფილა, ახლად მოსული არის, მაგრამ მაინც ეცოდინება, რომ საქართველო დღემდე ომიდან არ გამოსულა. თუ გგონიათ, რომ საქართველო მსოფლიო ომში ერია,—ეს არ არის მართალი; იმ ომში საქართველო არ ყოფილა, ერიენ მარტო ქართველები. თუმცა იმ დღიდან, რაც საქართველოს რესპუბლიკა დაარსდა, მსოფლიო ომი მოისპო; მაგრამ აქ მაინც მუდმივ სამხედრო მდგომარეობაში ვართ. თუ ამას მიიღებთ მხედველობაში,—მაშინ დაინახავთ, რომ ჩვენ გვაქვს აუარებელი არაჩვეულებრივი სამხედრო გასავალი. თუ [illegible] შრომას და ჩვეულებრივ შემოსავალ-გასავალს შევადარებთ,—მაშინ ნახავთ, რომ არც იმდენად ცუდათ არის ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა, როგორც ჰგონიათ. თუ მიიღებთ სახეში არაჩვეულებრივ გასავალს,—მაშინ ცხადი იქნება, რომ აქ არაფერს შუაში არის არც მთავრობა და არც მისი ფინანსიური და ეკონომიური პოლიტიკა. სამხედრო გასავალმა გაღარიბა არამც თუ ახალი სახელმწიფოები,—არამედ ისე ძველი სახელმწიფოებიც კი, როგორიც არიან საფრანგეთი, გერმანია და სხ. ამას დიდი ფიქრი და ანალიზი არ უნდა, რომ კაცი გამოვიდეს და თქვას ის, რაც არის. შემდეგ ბ. რცხილაძეს უთქვამს, რომ აქ საქართველოში თითქოს ისე იყო მოწყობილი საქმეები, რომ ყველაფერი უწყობდა ხელს ჩვენს მთავრობას; მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მაინც კრიტიკულ მდგომარეობაში არის საქმე. რომ ჩვენ მთავრობას არ უწყობდნენ ხელს,—ეს სჩანს მისივე სიტყვიდან. ეს ასე რომ არ იყოს,—ის არ იტყოდა იმას, რომ ჩვენ დაგვრჩა აუარებელი სხვისი ქონება და ეს ჩვენ გავფლანგეთო. ეს მოწმობს იმას, რომ აქ არამც თუ ხელის შეწყობა არის, არამედ ლტოლვა იქეთ, რომ რაიმე მიზეზი იშოვნონ და ჩვენკენ გამოისროლონ. თქვენ იცით რა ღირდა ეს ქონება?—მილიონები თუ მილიარდები,—ეს არავინ არ იცის და არც რცხილაძემ იცის. (ასათიანი: „ბლომად კი ღირდა".) ეს ქონება რომ დარჩა,—დანაწილდა სამად: ერთი ნაწილი სომხეთმა წაიღო, მეორე ადერბეიჯანმა და ერთი ნაწილი ტფილისში დარჩა. მოგეხსენებათ, რომ ამ ტრიბუნიდან მე გავაკეთე ანგარიში ჩვენი სახელმწიფოს არსებობის ექვსი თვის თავზე. მაშინ აქ პარლამენტი იყო. მაშინ ვთქვი, რომ პირველი ექვსი თვის განმავლობაში რუს[illegible] და მათ დაწესებულებებს მივეცით 99 მილიონი, ე. ი. 100 მილიონი მანეთი და მაშინდელი ასი მილიონი ეხლა 100 მილიარდი არის. მაშინ ეს დავფარეთ იმ ნაშთებიდან, იმ საქონლიდან, რომელიც დაგვრჩა. ასე რომ, ტყუილად იანგარიშა ბ. რცხილაძემ, რომ რაღაც შევინარჩუნეთ, გავფლანგეთ, ვინმეს წინაშე დამნაშავე ვართ ან ვალი გვაქვს. ვალზე თუ წავა საქმე—ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ჩვენ გაცილებით უფრო მეტი მივეცით. (ტაში. ს. დადიანი: „ამაზე არ არის დავა!" ვლ. მგელაძე „თუ ამაზე არ არის დავა,—მაშ არ უნდა თქმულიყო,—ამ ტრიბუნაზე!). აქ იყო ბევრი ლაპარაკი ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკაზე ჩვენ ეკონომიურ პოლიტიკას გვიწუნებენ, მაგრამ ვერც ერთმა ორატორმა თავისი ეკონომიური პოლიტიკა ვერ წამოაყენა. (ლ. შენგელაია: „ეს არ არის ძნელი, ჩვენ ბევრჯერ გვითქვამს!"). ძნელი არ არისო, ხშირად ლაპარაკობს ბ. შენგელაია; მაგრამ არავითარი ეკონომიური პოლიტიკა არ წარმოუდგენია. (ლ. შენგელაია: „ბიუჯეტის განხილვის დროს ბრძანდებოდით?") თქვენი ორატორების სიტყვებს ვკითხულობ, მაგრამ წვრილმან კრიტიკას მეტი ვეროფერი დავინახე. (სპ. კედია: „თქვენი რა არის, იმათი რა იქნება!").

რაშია საქმე? რანაირი ეკონომიური პოლიტიკა გვქონდა? ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა აგებული არის ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობაზე არ შეიძლება უკულმა იყოს. თუ შეიცვალა ეკონომიური მდგომარეობა,—თავის თავად ცხადია, რომ შეიცვლება ეკონომიური პოლიტიკაც. ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა უფრო იმით გამოიხატება, რომ ჩვენში არის საქონლის ნაკლებობა და სიძვირე. რით აიხსნება საქონლის ნაკლებობა და სიძვირე? მე მგონია, ეს ყველამ იცის. ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენს სახელმწიფოში არ მზადდება ყოველივე ის, რაც ჩვენთვის საჭიროა: უცხოეთიდან უნდა მოვიტანოთ. ეს მოტანა და ყიდვა გვიჯდება ძვირად და აქედან წარმოსდგება ერთნაირი ეკონომიური კრიზისი. (გრ. ვეშაპელი: „შეშაც უცხოეთიდან მოგაქთ?") ვეშაპელს ჰგონია, რომ ყველაფერ საქმეში მთავრობა არის დამნაშავე. შესაძლებელია, ამის შემდეგ თქვენ ხეირიანად ვეღარ დაიძინოთ, მაგრამ რომ იფიქროთ ის, თითქოს ეს მთავრობის ბრალია,—შემცდარი იქნებით. ჩვენ ავიღეთ ვალდებულება მარტო პურისა და ამაზე შეგვიძლიათ ილაპარაკოთ. მე ვამბობ, რომ ჩვენში არის საქონლის ნაკლებობა და ვისაც შეუძლიან იშოვნოს საქონელი, ის, თავისთავად ცხადია, იღებს იმაში აუარებელ ფასს, ვინაიდან ჩვენში არ არის კონკურენცია თვით ვაჭართა შორის, არამედ კონკურენცია არსებობს თვით მყიდველთა შორის. რასაკვირველია, ვისაც საქონელი აქვს,—ფასებსაც ის აწესებს, ეს მდგომარეობა იყო და არის არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთშიც ერთის მხრივ და ევროპაში მეორის მხრივ. მაგრამ ევროპაში ამ ბოლოს [illegible] ეს მდგომარეობა შეიცვალა. იქ [illegible] კრიზისი არ არის საქონლის, პირიქით, საქონლის დიდი რაოდენობა დაგროვდა; ჩვენში კი უკულმა, (ასათიანი: „საქმე მაგაშია, რომ უკულმაა")... თუ უკულმაა,—ეს არ არის ჩვენი ბრალი, არამედ თქვენი. თქვენს კლასს არ შეუძლია შექმნას ჩვენში ის, რასაც ევროპაში ჰქმნის (დადიანი: „ძიძებით არ გამიდგებიან"). ასეთი მდგომარეობიდან [illegible] გამოსავალი [illegible]: ერთი გამოსავალი [illegible] (გვაზავა: „კარგი [illegible]") [illegible] არის ლიბერალური—ამათი (უჩვენებს ნ. დემ.) მესამე არის ჩვენი (გვაზავა: შუაში დგებართ!"). თქვენ იცით, რომ რუსეთი ჰფიქრობდა ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევას იმით, რომ ახდენდა ნაციონალიზაციას წარმოებისა და ვაჭრობისას. თუ თქვენ ხართ ამის მომხრე,—ეს სთქვით. ერთი წევრი დამფ. კრებისა, აი სოც.-ფედ. ფრაქციის, სწერდა გაზეთში, რომ ერთად-ერთი გამოსავალი არის ნაციონალიზაცია ვაჭრობა მრეწველობისაო. ფრაქციას კი ეს არ განუცხადებია. თქვენ თუ ამის მომხრე ხართ,—ჩვენ უნდა მოგახსენოთ, რომ ამის წინააღმდეგი ვართ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დღევანდელი ეკონომიური კრიზისის გადალახვა შეიძლება, თუ მთელი ხალხი ჩაებმება ამ საქმეში, რომელსაც თქვენ ევროპიდან შორიდან და ვერ ხედავთ. ჩვენ ვხედავთ რუსეთის, ადერბეიჯანის და სომხეთის მაგალითებს. იქ შიმშილით და სიცივით ხალხი იხოცება (დადიანი: „რამდენი ბანკია ტფილისში? ისინი სპეკულიაციას ეწევიან"). მე მოგახსენებთ არა სპეკულიაციაზე,—ეს არ არის პოლიტიკა,—მე მოგახსენებთ ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკაზე,—იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს იგი. იმიტომ არსებობს მთავრობა, რომ იგი უნდა ებრძოდეს ამ სპეკულიაციას.

მეორე გზა არის ნაციონალ-დემოკრატების — ლიბერალური. თავისთავად ცხადია, ისინი იქნებიან წინააღმდეგნი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკისა. ამათ აქვს ერთნაირი ხაზი; თქვენ კი ხართ ჩვენი წინააღმდეგი. მაგრამ არ ვიცით რა გინდათ, თქვენ უნდა გქონდეთ გარკვეული ხაზი.

ჩვენ არა ვართ მომხრე ნაციონალ-ლიბერალური პოლიტიკის, ვინაიდან ეს იქნება პოლიტიკა წინანდე სპეკულიანტური. იმ დროს, როცა არის საქონლის ნაკლებობა და ასეთი სიძვირე,—ეს საქმე რომ სავსებით ხელში ჩავუგდოთ კერძო მწარმოებლებს და ვაჭრებს,—ცხადია, ფასები იქნება ერთი ათად მეტი. (გვაზავა: „მხოლოდ პირველ დღეებში"). ინგლისში გაძვირდა, მაგრამ არა ისე, როგორც აქ, იმიტომ, რომ ინგლისი თვით აწარმოებდა საქონელს (გვაზავა: „სახელმწიფოსაც შეუძლია სპეკულიაცია აწარმოოს") თუ სახელმწიფო ისპეკულიანტებს,—ეს იქნება სახელმწიფოს სასარგებლოდ (გვაზავა: „თუ წააგო? კედია: რომ წააგოს?). თქვენ მოიგონეთ მოხსენება ჩვენი მომარაგების მინისტრის, რომ ჩვენ არამც თუ არ ვეწევით სპეკულიაციას,—არამედ, პირიქით, ვებრძვით მას. ჩვენ ვიდებთ ჩვენს საკუთარ ფულს იმისთვის, რომ ფასები პურზე და სხვა სანოვაგეზე დავსწიოთ. (კედია: „ესეც კარგი პოლიტიკაა"!). აქედან ხედავთ, რომ სახელმწიფო ებრძვის სპეკულიაციას. ამის შემდეგ შეგიძლიათ სთქვათ, რომ სახელმწიფო ეწევა სპეკულიაციას? ეს არ არის სიმართლე. ისეთ მდგომარეობაში, როგორშიცა ჩვენა ვართ, ჩვენ არ შეგვიძლია ეკონომიური საქმიანობა დავანებო მარტო კერძო პირებს, რომ ამა არ ჩაერიოს სახელმწიფო, ერობებ და ქალაქები. თუ ჩვენი მდგომარეობ ასეთია და ჩვენ არ დავინგრეულვართ, ეს იმიტომ, რომ ამ ეკონომიურ საქმიანობას აწარმოებენ როგორც სახელმწიფო, ისე ერობები და ქალაქები. ჩვ რომ თქვენი აზრით გვევლო გვეწარმოებია თქვენი ეკონომიური პოლიტიკა,—ჩვენ აქამდის ვინებოდით დანგრეული. ისეთი სიძვი იქნებოდა, რომ ჩვენი ხალხი აჯანყ ბოდა, აგრეთვე ჯარი და გვარდი (ასათიანი: „ეს ხომ გულთმისნობაა" ეს არ არის გულთმისნობა. ჩვენ იმიტომ ვარსებობთ, რომ ვიცოდეთ, ვი პოლიტიკა საით მიდის. (ქარუმიძე: „ა არის მაგ პოლიტიკაში ლოღიკა!"). ვიცი, რომ თქვენი პოლიტიკა სახელმწიფოს ანგრევს, ჩვენი კი აშენებ (ქარუმიძე: „რამდენს იგებს თქვ ბიუროკრატიზმის ქვეშ მყოფი კოოპერატივი"?). უნდა მოგახსენოთ, რომ კოოპერატივის მდგომარეობა არ ვიც რადგან არ გვაქვს მასთან პირდაპირ კავშირი. (ქარუმიძე: „როგორ სპეკულიაციას ეწევა კოოპერატივი იმ მშ მელ ხალხზე, რომელიც თქვენს მზრუნველობის ქვეშაა? დადიანი: „გამოი ქვა, ვინ ჰქმნა! ხმაურობა თავმჯდომარის ზარი) მე ვამბობ, რომ ჩვენ, როგორც ლიბერალურს, ისე ბოლშევიკუ პოლიტიკას ვებრძვით და არ მივდევ (გვაზავა: „თქვენ მენშევიკურ პოლიტიკაზე დგეხართ"). დიახ, ჩვენ ვდგევა მენშევიკურ სოციალდემოკრატიულ პოლიტიკაზე. გვაზავამ ეს უნდა იცოდ (ქარუმიძე: „საქართველო წვრილი წ მოების ქვეყანაა, არც მენშევიკებ არც ბოლშევიკების"!) აქ გვეუბნებიან საქართველო პურის ქვეყანაა და ა შესაფერი პოლიტიკა უნდა იყოსო (ქარუმიძე: „ჩვენ ვამბობთ, რომ საქა

---

*) დასასრული, იხ. „ერთ." № 19.

მოითხოვს თავისთვის დამოუკიდებელ არსებობის უფლებას. ეროვნული ყრილობა დარწმუნებულია, რომ იგი შესძლებს აღადგინოს ეროვნული სიძლიერე და ოსმალეთის ხალხის სუვერენიტეტი. ეროვნული ყრილობა თავის უმთავრეს მიზნით სთვლის სხვადასხვა რეფორმების გატარების საშუალებით ააცილოს ხალხს უბედურება. „დეილი ექსპრესის“ აზრით მუსტაფა-ქემალის პასუხი ნიშნავს, რომ ოსმალეთის ნაციონალისტები განაგრძობენ სმირნისა და ფრაკიის დაბრუნების მოთხოვნას.

„ასოვნარხოზი“ და მისი მუშა-მოსამსახურენი

თფილისში (სერგიევის ქ. № 15) არსებობს „თაუზის“ სააქციონერო საზოგადოების მთავარი კანტორა. ამ საზოგადოების ცემენტის ქარხანა იმყოფება სად. თაუზის მახლობლად, ადერბეიჯანში.

ვიდრე ადერბეიჯანი გაწითლდებოდა, ამ კანტორის მოსამსახურენი ყოველგვარ დაკმაყოფილებას ღებულობდნენ ქარხნის პატრონთაგან. მოხდა ადერბეიჯანში გადატრიალება თუ არა, კანტორაც მოსწყდა ქარხანას და მოსამსახურენი დარჩნენ უმწეოდ.

8 სექტემბერს 920 წ., მოსამსახურეთა რწმუნებულმა მიმართა საქართველოს რესპუბლიკის შრომის სამინისტროს დახმარებისათვის. დაიწყო მიწერ-მოწერა. ამუშავდნენ შრომის და საგარეო სამინისტროები, დიპლომატიური წარმომადგენლობა, რაც დაბოლოვდა შემდეგნაირად: 1920 წლის 5 დეკემბრის თარიღით (№843) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო თფილისში მყოფი ადერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენლისაგან შემდეგი ქაღალდი: „გაცნობებთ, რომ სააქციონერო საზოგადოება „თაუზის“ კანტორის მოსამსახურეთა უზრუნველყოფა, როგორც „ასოვნარხოზის“ 8 ნოემბრის № 8887 მოწერილობიდან სჩანს, არ შეიძლება, ვინაიდან ხსენებულ მოსამსახურეთა უზრუნველყოფა არ შეადგენს ა. ს. ს. რ. მთავრობის მოვალეობას“.

რა ჰქნან, მაშ, მოსამსახურეებმა? რა დააშავეს მათ? ქარხანა ადერბეიჯანშია. იგი, როგორც მრავალი სხვა კერძო წარმოება, უეჭველია, სახელმწიფოდ არის გამოცხადებული! და ასეც რომ არ იყოს საქმე, ადერბეიჯანის მთავრობა მაინც ვალდებულია ქარხნის პატრონნი აიძულოს გაასწორონ საზღვარგარეთ არსებულ განყოფილებათა ვალდებულებანი მუშა მოსამსახურეთა მიმართ ქარხნის ქონებიდან.

მაგრამ „წითელ“ ადერბეიჯანს და მის „ასოვნარხოზს“, აბა, რა უნდა მოეთხოვო!..

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 ს. ცენტ. კომიტეტის ბინაზე დანიშნულია შეერთებული სხდომა საქ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტისა და დამფუძნებელ კრების ფრაქციის ბიუროსი.

◆ **ერობათა საბიუჯეტო უფლებები.** ერობათა კავშირის კომიტეტმა ფინანსთა მინისტრს, სახელმწიფო კონტროლიორს, შინაგან საქმეთა მინისტრს და დამფუძნებელი კრების თვითმართველობის კომისიას წარუდგინა კანონპროექტი ერობათა საბიუჯეტო უფლებების შესახებ.

◆ **ნავთის წარმოება** საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების სხდომაზე, იანვრის 25, სამთო სამართველოს გამგე ი. ყიფშიძემ წაიკითხა მოხსენება საქართველოში ნავთის წარმოების მოწყობის შესახებ. ამავე სხდომაზე ნავთის წარმოების შესახებ გააკეთა მოხსენება ინჟენ. ცეიტლინმა. ტეხნიკურმა საზოგადოებამ, მოხსენებათა მოსმენის შემდეგ დასდგინა იცნოს საკითხი საქართველოში ნავთის წარმოების ორგანიზაციისა პირველ ხარისხოვან სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საკითხად.

◆ **სომეხთა ეროვნულმა საბჭომ** აირჩია საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა წარუდგინოს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, დამფუძნებელ კრების თავმჯდომარეს და ფრაქციათა წარმომადგენლებს საბჭოს მიერ შემუშავებული მემორანდუმი კულტურულ ეროვნულ ავტონომიის საკითხის შესახებ. დელეგაციას მიენდო აგრეთვე იშუამდგომლოს იმის შესახებ, რომ ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორების კანონის მიღების დროს სომხების ეკლესიების ქონება გადაეცეს ეროვნულ საბჭოს განკარგულებაში.

◆ **კ. ჩხეიძის მოხსენება გორში.** კვირას, 30 იანვარს, გორში, საკრებულოს დარბაზში საჯარო კრებაზე მოხსენებას გააკეთებს ევროპიდან ახლად დაბრუნებული დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე.

◆ **ქართულ გერმანულ საზოგადოებაში** ყოველ ორ-კვირაში ერთხელ წაიკითხება მთელი რიგი მოხსენებისა გერმანულს და ქართულს ენებზე. უახლოესი მოხსენება იქნება კვირას იანვრის 30 ცენტრო. ბანკში. კ. ჰაანისა: სავაჭრო მიმოსვლის გზები ძველად საქართველოში. დასწრება შეუძლია არა წევრთაც.

◆ **ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა** საზოგადოების მორიგი კრება შესდგება პარასკევს, 27 იანვარს, საღამოს 8 საათზედ თფილისის მიხეილის საავადმყოფოში. მოხსენებას წაიკითხავს ექ. მ. ა. კალანდარიშვილი — „საზოგადო ქირურგიის ქართული ტერმინოლოგიის შესახებ“.

◆ **სახელმწიფო დრამის თეატრში.** შაბათს, იანვრის 29-ს განმეორებული იქნება „სამშობლო“ დ. ერისთავისა ლიტანიით. პიესა იმავე შემადგენლობით იქნება წარმოდგენილი, როგორც პირველად. კვირას, იანვრის 31-ს მეშვიდედ წარმოდგენილი იქნება „ბერდოზმანია“. მომავალ კვირას პრემიერად დანიშნული არის ა. ცაგარლის კომედია „რაც გინახავს, ველარ ნახავ“.

— „სამშობლო“ ჯარისა და გვარდიისათვის. სახელმწიფო დრამის თეატრში იქნება წარმოდგენილი ორშაბათს, იანვრის 31-ს და ოთხშაბათს, თებერვლის 2-ს დილით დასაწყისი დილის 12 საათზე.

◆ **შავთურის შავი ქვის სატრანსპორტო** საზოგადოება „ჩემო“-მ აცნობა ფინანსთა მინისტრს თავის დადგენილების შესახებ შეწიროს სხვადასხვა დაწესებულებას შემდეგი თანხა: 1) მილიონი მანეთი ფრონტის სასარგებლოდ, 2) მილიონი მანეთი თავდაცვის თავარ კომიტეტის განკარგულებაში, 3) ხუთასი ათასი მანეთი 1917 წლ. 12 დეკემბ. ისტორიულ დღისა და ეკატერინეფელდის ბრძოლის აღსანიშნავად სახალხო ძეგლის ასაგებ ფონდის შესაქმნელად. ეს ფულები აღნიშნულმა საზოგადოებამ უკვე გადასცა თფილისის ხაზინას ფინანსთა მინისტრის მიმდინარე ანგარიშზე ჩასარიცხად.

◆ **დამფუძნებელ კრების კომისიებმა** მოიწონეს დამფუძნებელი კრების პლენუმის სხდომაზე შეტანილი პროექტი გზათა მიმოსვლის სამინისტროსი სამგზავრო ბილეთებზე წითელი ჯვრის სასარგებლოდ არსებულ გადასახადის გადიდების შესახებ. მომავალში წითელი ჯვრის სასარგებლოდ გადაიდება: 1 კლ. ბილეთიდან—15 მ. მე 2-ე კლ.—10 მ. მე 3 კლ.—5 მან. ეს თანხა ბილეთის ფასში შედის.

◆ **გორის სამაზრო ერობის სტიპენდიანტთა შორის.** კვირას 30 იანვარს დილის 10 ს. სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნულია სტიპენდიანტთა კრება.

◆ **„ახალი კვალი“ ხვალ გამოვა** საქ. ახალგ. მარქ. ორგანიზაციების ორგანო „ახალი კვალი“-ს პირველი ნომერი. ჟურნალი გადაიგზავნება გასავრცელებლათ ადგილობრივ ორგანიზაციებს. ყველა ანგარიში უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თფილისი, „ერთობის“ რედაქცია, „ახალი კვალი“-სათვის.

პარტიული კრებები

კვირას, 30 იანვარს, 4 საათზე ნაძალადევის მუშათა კლუბში დანიშნულია ს. დემოკრატ ქალთა ორგ. პარტიული კრება. განხილული იქნება წლიური ნამუშევარი. მოხდება იქვე კოლექტივის ახალი არჩევნები და სხვა. პარტიის ყველა წევრი ვალდებულია დაესწროს კრებას.

— დღეს, საღამოს 7 ს. ჩუღურეთის მცირე კოლექტივის კრებაა. კრების შემდეგ მოხდება პრეზიდიუმის არჩევნები. სთხოვენ ამხანაგებს უსათუოდ დაესწრონ.

თავდაცვის ფონდისთვის

ბ. რედაქტორო! გიახლებთ რა 10350 მან. *) (ათი ათას სამას ორმოცდა ათი მანეთი) შეკრებილს ჩემს მიერ ჩემს ოჯახში პატარა ნადიმის დროს (ქორწილში), გთხოვთ ეს წვლილი გადასცეთ სადაც ჯერ არს თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად.

მარად თქვენი პატივისმცემელი **ილია ხოლოთონის ძე გვარამაძე.**

ვილსონის „ახალი სიტყვა“

გაზეთების ცნობით ვილსონი ერთა ლიგის თავმჯდომარე გიმანისადმი სომხეთის მდგომარეობის შესახებ გაგზავნილ ნოტაში სწერს, რომ საკითხი სომხეთის მძიმე მდგომარეობის შესახებ არის შემადგენელი ნაწილი რუსეთის დიდი საკითხისა. ვილსონი აგრეთვე წინადადებას იძლევა მიიღონ სახელმწიფოებმა თავიანთ თავზე ვალდებულება, რომ არ დაარღვევენ რუსეთის ტერიტორიალურ მთლიანობას, რაც მისი აზრით შეადგენს წინასწარს პირობას, როგორც სომხეთში, ისე განაპირა სახელმწიფოებში მშვიდობიანობის დამყარებისათვის.

ვილსონის ნოტაზე ერთა ლიგის თავმჯდომარის პასუხი მომავალის საქმეა, მხოლოდ ამერიკის იმპერიალისტურ ბურჟუაზიის განზრახვები, მისი შორეული ქვეყნების ტრაგიკულ, მძიმე მდგომარეობაზე დაცინვა განსაცვიფრებელია.

ამერიკის შეუსაბამო დიპლომატიამ ამ უკანასკნელ ხანებში გააძლიერა თავისი მეჩანკლური მოქმედება შორეული რუსეთის განთავისუფლებულ ხალხების ხარჯზე. ის სერიოზული მდგომარეობა, რომელიც რუსეთის თანამედროვე ხანას ახასიათებს,—საერთაშორისო ცხოვრებაში მიზნად ისახავს შორეულ აღმოსავლეთის კრიზისების გახანგრძლივებას...

აი, ეთია მისი საქმე, მისი მოღვაწეობა, მისი ენა...

მსოფლიო ომის მსვლელობის დროს ვილსონი კაცობრიობას ზავისა და ერთა განთავისუფლების დროშით მოევლინა, ყველა მის ფორმულებში ხედავდა სამართლიანობას, მაგრამ მსოფლიო ომის დასასრულს ამერიკამ, გამარჯვებით დამთვრალმა, ისევ თავის კუნძულებზე ოქროს სკივრებში ჩაჯდა და მსოფლიო ზავისათვის ბრძოლაში გაცილებით ყველაზე მეტი სიმკაცრე იჩინა.

ჩვენ არ ვიცით,—ამერიკის მუშათა კლასი რა როლს თამაშობს თავის ბურჟუაზიულ იმპერიალისტურ წრეების წინააღმდეგ; მხოლოდ ამერიკის სახელით ბევრი უცნაური ინტრიგები ხდება აღმოსავლეთის ხალხებს...

სომხეთის მძიმე მდგომარეობის ობიექტიურ მიზეზების გამორკვევის დროს ისტორიული ჭეშმარიტება იქნება, რომ ამერიკის და სხვა სახელმწიფოთა იმპერიალისტებმა მეტი დანაშაულობა ჩაიდინეს სომხეთის ერის წინაშე, ვიდრე ფიზიკურად მის წინააღმდეგ მებრძოლებმა.

სევრში დადებული ხელშეკრულება განმეორება იყო 1864—5 წლების ამბებისა...

სომხეთის საკითხის მწვავე ხასიათი ვილსონის განზრახვების შედეგია, რომლებსაც სინამდვილეში ანხორციელებს იმპერიალისტური რუსეთი. ცხადია, რუსეთის შინაურ საქმეებში არავინ უნდა ერეოდეს; მაგრამ ამავე დროს არც რუსეთი და არც გარეშენი, თუ გინდ ვილსონიც, არ უნდა იგდებდეს აბუჩად რუსეთის მონობისაგან განთავისუფლებულ ერებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთ არსებობისათვის.

თუ სხვები ერეოდენ რუსეთის საქმეებში და ამის წინააღმდეგი ვილსონის სახით გაბატონებული ამერიკა,—მაშინ ამერიკამ თავის თავს უნდა ჰკითხოს: რას ნიშნავს ამ ბოლო ხანებში მისი აღმოსავლეთის პატარა ერების წინააღმდეგ გამოსვლა და რუსეთის იმპერიალისტურ ლტოლვილების დაცვა!..

საქართველოს, სომხეთის და მახლობელი მეზობლების დამონავებულმა ხალხმა იცის თავისი ტრაღედიის მიზეზი და თუ ვინმე არაფერს დაეხმარება,—მაშინ ჭურც მის დასერილ სხეულზე სიცილს დაიწყებს... ჩვენ გვესმის დიდ ოკეანის შორეულ კუნძულებიდან იმპერიალისტური ხმა და გვინდა მოვისმინოთ იმავე კუნძულებიდან მუშათა კლასის სიტყვა...

ანანია.

განცხადება

1900 წელში დაბადებული ახალგაზრდა მოქალაქეთა სამხედრო ბეგრის მოხდელათ 1920 წ. მორიგ გაწვევაზე.

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1900 წ. დაბადებულ ახალგაზრდა პირთა ჯარში გამწვევი და მიმღები კომისია შეუდგება თავის მოქმედებას ქ. თფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოსთან განსაკუთრებულ შენობაში (ვაგზლის ქ. სახლი თამამშევისა) ქვემო აღნიშნულ დღეებში, დილის 9 საათიდან. ამიტომ **6 და 7 თებერვალს, კვირას და ორშაბათს** უნდა გამოცხადდნენ ჯარში გასაწვევად ის პირნი, რომლებიც არიან დაბადებულნი 1900 წელში და შეტანილნი არიან **1, 2 და 3 კომისარიატების გამწვევ სიებში.**

8 და 9 თებერვალს, სამშაბათს და ოთხშაბათს უნდა გამოცხადდნენ ის პირნი, რომლებიც არიან შეტანილნი **მე 4, 5, 6 და 7 კომისარიატების გამწვევ სიებში.**

10 და 11 თებერვალს, ხუთშაბათს და პარასკევს უნდა გამოცხადდნენ ის პირნი, რომლებიც არიან შეტანილნი **მე 8 და 9 10 კომისარიატების სიებში.**

12 და 13 თებერვალს, შაბათს და კვირას, უნდა გამოცხადდნენ ის პირნი, რომლებიც არიან შეტანილნი **მე 11, 12, 13 კომისარიატების სიებში.**

14 თებერვალს, ორშაბათს უნდა გამოცხადდნენ ის პირნი, რომლებიც არიან დაბადებულნი 1899 წ **და წარსულ 1919 წ** ქ. თფილისის მიმღებ კომისიის მიერ გადაედოთ ჯარში მიღების ვადა **ერთის წლით, როგორც საშუალო სასწავლებლების მოწაფეთა ან ჯანმრთელობის სისუსტის გამო.**

15 თებერვალს, სამშაბათს, უნდა გამოცხადდნენ ის ადგილობრივი მცხოვრები ახალგაზრდა პირნი,— **რომლებიც არიან დაბადებულნი 1900 წ.** და რაიმე მიზეზისა გამო არ **არიან ჯერ შეტანილნი გამწვევ სიებში** და აგრეთვე ქ. თფილისში დროებით მცხოვრებნი ის პირნი, რომლებიც თუმცა არიან შეტანილნი სხვა მაზრების გამწვევ სიებში, მაგრამ მათ, თანახმად გენერალურ შტაბის განკარგულებისა, არა უგვიანეს ა/წ. 10 იანვრისა თბილისის სამხედრო ნაწილის განყოფილებაში წერილობით განაცხადეს თავისი სურვილი თფილისის მიმღებ კომისიაში გამოცხადებისა და ამ ვადაზედ წარადგინეს: 1) ამონაწერი თავის თავზე გამწვევ სიისა და 2) პირადობის მოწმობა სურათით.

მიმდინარე წელს ჯარში გაწვევის დროს მოქალაქეთ უნდა მიიღონ მხედველობაში:

1. ყოველი გაწვეული ახალგაზრდა მოვალეა უეჭველად ზემოაღნიშნულს ვადების მიხედვით, გამოცხადდეს მიმღებ კომისიაში და თან იქონიოს გასაწვევი უწყება, მიღებული სათანადო კომისარიატიდან.

2. საშუალო სკოლის მოწაფენი, რომლებიც წარმოადგენენ დანიშნულ ვადაზედ სათანადო მოწმობებს, სასწავლებლის უფროსებისაგან, სამხედრო ბეგრის მოხდის ვადა გადაედებათ 21 წ. შესრულებამდი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაუყონებლივ იქნებიან ჯარში გაწვეულნი.

შენიშვნა: უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებს არა აქვთ უფლება ჯარში გაწვევის ვადის გადიდებისა და ამიტომ ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ მიმღებ კომისიაში.

3. **არავითარი სამსახური,** არც კერძო, არც საზოგადო, არც მთავრობის დაწესებულებში, არც სახალხო გვარდიაში და არც მილიციაში **არ ანთავისუფლებს მოქალაქეთ** ჯარში გაწვევისაგან, ამიტომ ყველა ამ დაწესებათ ევალებათ დროზე გაუსწორონ ანგარიშები ახალგაწვეულთ.

4. ყველა ახალგაწვეული მოქალაქე მოვალეა დაუყონებლივ მოაწესრიგოს თავისი კერძო, შინაური და სამსახურის საქმეები, ვინაიდან იგი დანიშნულ დროს კომისიაში გამოცხადების და შემოწმების შემდეგ გაიგზავნება საკრებ პუნქტიდან პირდაპირ ჯარის ნაწილში და არავითარი პირადი ან წერილობითი განმარტება არ იქნება მიღებული მხედველობაში.

5 **თანახმად დამფუძნებელ კრების მიერ 1919 წ. 2 აგვისტოს მიღებულ** დეკრეტისა, შესახებ სამხედრო ბეგრის აუსრულებლობის და ამ დანაშაულის დაფარვის და წაქეზებისა, თუნდაც წამქეზებელი და დამხმარე მშობელი ან სხვა მახლობელი ნათესავი იქნენ, **დამნაშავენი დაისჯებიან იმ წესით,** რომელიც აღნიშნულია ხსენებულ დეკრეტის 1, 2 და 3 მუხლებში.

26 იანვარის 1921 წ. ქ. თფილისი.

თფილისის ქალაქის გამგეობა.

მუშათა კავშირების საერთაშორისო ყრილობა

(წერილი ლონდონიდან)

II

მეორე დღის სხდომაზე ფედერაციის მდივანმა იყო ფიმენმა (ჰოლანდიიდან) მოხსენება წაიკითხა ფედერაციის მუშაობის შესახებ კონტინენტზე და სპეციალურათ შეეხო ჰუნგრეთს, ისპანიას და საბერძნეთს, სადაც მუშათა მდგომარეობა მეტად ცუდი არის. უკეთესი პირობა იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სთქვა მან,—სადაც მუშათა ორგანიზაციები არის უფრო ძლიერი და მტკიცე, სადაც მუშები ფხიზლად დახვდენ რეაქციას, იყო უკეთესი მდგომარეობა ინგლისში, სადაც პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის ძალითაც მთავრობას უფლება ეძლევა დაიჭიროს გაფიცვის მეთაურები და ამგვარათ გაფიცვა შეუძლებელი გახადოს. ასეთივე ცნობა მოვიდა ჩვენამდის ამერიკიდან, სადაც გაფიცვები ისპობოდა პოლიციის და სხვა საშუალებათა ძალდატანებით. მაგრამ მსოფლიოს მუშათა ორგანიზაციები კავშირდებიან და მაგრდებიან. ეს სიძლიერე ასეთი ვერ იქნება, თუ კაპიტალისტებმა შესძლეს კვლავ ომის მოწყობა. ტრედ უნიონული მოძრაობის პირველი მიზანი ის უნდა იყოს, რათა მიმართოს თავისი ძალა მილიტარიზმის კაპიტალისტური აგრესივობის წინააღმდეგ და დაამყაროს უკეთესი ფორმა საზოგადოებრივობისა.“ ფიმენმა მწუხარება გამოსთქვა იმის შესახებ, რომ კონგრესს არ დაესწრენ მუშათა წარმომადგენლები ამერიკიდან და შორეულ აღმოსავლეთიდან, [illegible] რუსეთის კავშირებს [illegible], მაგრამ მათგან [illegible] პასუხი [illegible] საშუალებით მან გაიგო მოსკოვის ლიდერების მიმართება, რომელიც მისი სიტყვით არის სულელური და არამზადული. „სექციონალური განხეთქილება არის დაღუპველი,“ სთქვა მან. შემდეგ მან წარადგინა რეზოლუციები. პირველ რეზოლუციაში გამოთქმულია პროტესტი გაბატონებულ კლასთა და მათ მთავრობათა წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობენ მთელს ქვეყანაზე სული შეუხუთონ მუშათა ორგანიზაციებს და ჩაკლან მუშათა მოძრაობა. რეზოლუცია მიმართულია წინააღმდეგ მილიტარულ და კომერციულ ომისა, რომელიც სწარმოებს რუსეთის წინააღმდეგ. რეზოლუცია აცხადებს, რომ მუშების მოვალეობას შეადგენს ყოველგვარ ზომების მიღება მსოფლიო რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად, ეს რეაქცია კი ემუქრება ტრედ-უნიონულ მოძრაობას, მის არსებობასა და ზრდა-განვითარებას. ამასთანავე რეზოლუციაში გამოთქმულია ის აზრი, რომ კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის მოქმედებათა მიერ შექმნილ მდგომარეობით უნდა ისარგებლოს ყოველგან ტრედ-უნიონთა მოძრაობამ. რეზოლუციაში ხაზგასმულია აგრეთვე, რომ საჭიროა მილიტარიზმთან ბრძოლა ყველა საშუალებებით; ყველა ქვეყნის მუშათა კავშირებმა უნდა მიმართონ გაფიცვას და ინტერნაციონალურ ბოიკოტს, როგორც ბასრსა და ნამდვილ იარაღს რეაქციის წინააღმდეგ. რეზოლუცია მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშებს და მათ ორგანიზაციებს შეკავშირდნენ და განამტკიცონ ფედერაციები ამ ბრძოლის საწარმოებლათ. აგრეთვე მოუწოდებს მათ დაიწყონ ინტერნაციონალური მასიური მოქმედება რეაქციის წინააღმდეგ, გამოუცხადონ ომი ომს, რათა დამყარდეს ახალი ცხოვრება.

მეორე რეზოლუცია ეხება პროგრამას, რომელიც მიღებული იყო ვაშინგტონში ინტერნაციონალურ მუშათა კონფერენციაზე და რომელშიაც აწერილია 8 საათის სამუშაო დღისა და 48 საათის სამუშაო კვირის პრინციპი. რეზოლუცია პროტესტს აცხადებს გაბატონებულ კლასთა და მთავრობათა წინააღმდეგ, რომელნიც მტრულათ არიან განწყობილნი ამ მოთხოვნილებების მიმართ. რეზოლუცია მოითხოვს მათგან ამ პრინციპების განხორციელებას და ვაშინგტონის რეზოლუციას ცხოვრებაში გატარებას.

მესამე რეზოლუცია აცხადებს, რომ მუშების ბრძოლა საერთოდ ომების წინააღმდეგ არ უნდა იყოს დაკავშირებული კაპიტალისტურ-ბურჟუაზიულ პაციფიზმთან.

ფიმენის შემდეგ ილაპარაკა გერმანიის მუშების წარმომადგენელმა გრასმანმა. იგი შეეხო გერმანიაში მომხდარ გაფიცვებს და სთქვა: თუმცა მუშები იტანჯებიან, მათ მაინც გადასწყვიტეს, რომ ისინი ნებას არ მისცემენ და არ გაახანგრძლივებენ მილიტარიზმის მეფობას ან და იმათ გაბატონებას, ვინც სცდილობს აღადგინოს მონარქია. გერმანიის მუშათა მოძრაობამ დაგვანახვა თავისი სოლიდარობა მაშინ, როცა მან განახორციელა საკუთარი კონტროლი სამხედრო ამუნიციის და სამხედრო მასალის გადაზიდვის საქმეში. უკვე ფედერაციის მოწოდების გამოქვეყნებამდის გადასწყვიტეს გერმანიის მუშებმა ყველა ზომების ხმარება იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ რუსეთისათვის ან პოლონეთისათვის სამხედრო მასალის გადაზიდვას. გერმანიის მუშებმა ხელთ აიღეს კონტროლი ტრანსპორტზე იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ ყველა რეაქციონურ მთავრობებისათვის, რომელთა მიზანი იყო ჯარის შეკრება და მონარქიული რეჟიმის აღდგენა. გერმანიის მუშებს სწამთ ახალი და ნამდვილი დემოკრატიის დამკვიდრება. ეხლანდელი რესპუბლიკური და დემოკრატიული რეჟიმი გერმანიაში არის ციხე სიმაგრე გარეშე მტრულ რეაქციის წინააღმდეგ. საქმეთა დღევანდელი მდგომარეობა არ არის იდეალური, მაგრამ არის მკვიდრი ნიადაგი მომავალ მუშაობისათვის. გერმანული კავშირები ყოველგვარ დიქტატორობის წინააღმდეგნი იყვნენ. მათ სწამდათ, რომ ხალხია უფროსი, რომ ხალხს აქვს მხოლოდ უმაღლესი ძალა და უფლება ჰპატრონოს თავისი თავი. კომუნიზმი არის რეაქციის ყველაზე უფრო ცუდი ფორმა. გერმანიის მუშებს სწამდათ რევოლუცია როგორც ორგანიზაციული საშუალება ნამდვილი დემოკრატიის დასამყარებლად. იგი ყურადღებას აქცევს მოსკოვიდან გამოგზავნილ პროკლამაციას, რომელიც მიმართული იყო გერმანიის მუშათა კავშირების პოლიტიკის წინააღმდეგ და ამბობს, რომ გერმანიის კავშირებმა გადასწყვიტეს ებრძოლონ მოსკოვს, რათა დაიხსნონ მუშათა მასები ბოლშევიზმის საშიშროებისაგან.

გერმანიის წარმომადგენლის შემდეგ ლაპარაკობს ისპანიის მუშათა წარმომადგენელი—ჯ. ბესტეირო. ბესტეიროს სიტყვით, ისპანიაში მუშათა ცხოვრების პირობები საშინელია, რადგან იქ საერთოდ მოქალაქეთა უფლებები ფეხქვეშ არის გათელილი. ფაქტიურათ, ხალხს ერასო-

---

თვლით წვრილ მწარმოებელთა ქვეყანაა. თქვენ კი ქალაქებს—მუქთა ხალხს შეაჭამეთ ყველაფერი“!). ის, რასაც ამბობს ბ. ქარუმიძე,—არ არის ასე. ქალაქმა კი არ შესჭამა სოფელი,—პირიქით სოფელმა შესჭამა ქალაქი. წინად იყო ჰიპერტროფია ქალაქის, ახლა კი მოხდა ჰიპერტროფია სოფლის. ჩვენ სოციალისტები ვართ და გვინდა, რომ შრომა იყოს განაწილებული ქალაქსა და სოფელს შორის და არ გვინდა ერთიმეორეს სჭამდეს. თქვენ კი გინდათ, რომ ეს ჩვენი მდგომარეობა გააზვიადოთ. (ქარუმიძე: „მოგახსენეთ, რაც გვინდა“!) მაშ აქ არ შეიძლება არც ლიბერალური, არც ბოლშევიკური პოლიტიკა, არამედ მხოლოდ ჩვენი. თქვენ ამბობთ, რომ ეს არის პოლიტიკა კატასტროფიული (შენგელაია: „თქვენ თვითონ ბრძანეთ“!). თქვენი პოლიტიკა თუმცა არ ვიცით, მაგრამ ის, რასაც თქვენ ამბობთ კანტიკუნტად, ამტკიცებს, რომ თქვენ ერთი თვე გექნებათ ხელში სახელმწიფო,—ის პირველ კვირასვე დაინგრევა. (რამიშვილი „ორ დღეში დაინგრევა“. ამიტომ ვამბობთ: ვისაც სურს შეებრძოლოს ჩვენს პოლიტიკას,—მან უნდა გვიჩვენოს უკეთესი პოლიტიკა. სანამ ამას არ გვიჩვენებთ, ცხადია თქვენ არაფერი სათქმელი არა გვაქვსთ. მე ვამბობ, რომ ჩვენი პოლიტიკის ნაყოფია, რომ ჩვენ დავაარსეთ მომარაგების სამინისტრო. უნდა ვთქვა, რომ ერთად-ერთი ბურჯი ჩვენი სახელმწიფოსი არის ეს ორი უწყება—სამხედრო და მომარაგების უწყებანი.

რომ ჩვენ თავის დროზე არ დაგვეწყო მომარაგება, ცხადია, ჩვენ დღეს არ ვიქნებოდით ისეთ მდგომარეობაში, როგორშიაც ვართ. ჩვენი სახელმწიფო გამოდის, როგორც დიდი ვაჭარი, ე. ი. ის ყიდულობს და აწვდის ხალხს, ჯარს და გვარდიას აწვდის იმ ნაყიდ საქონელს ძალიან იაფად და ამით ბაზარზე სცემს ფასებს დანარჩენ საქონელზე (გვაზავა: „რომ წააგოს?“).

მე მოგახსენებთ, ჩვენ რომ ერთი გირვანქა პურს ვაძლევთ მუშა-მოსამსახურეს,— ამაზე ჩვენ ვაგებთ ხან 35 მანეთს, ხან 56 მანეთს, ხან მეტს; მაგრამ ჩვენ გვირჩევნია ცოტაოდენი ფული წავაგოთ და სამაგიეროთ მოვიგოთ დიდი რამ—სახელმწიფოს არსებობა. (ხმა: „ვაჭრობაში წაგება?“). მოგახსენებთ, რომ ვაჭრობა-აღებმიცემობის სფეროში კერძო ვაჭრებმა ბევრი წააგეს, მაგრამ სახელმწიფოს არ წაუგია. მოგახსენებთ, აი თამბაქოს საქმე. ამ საქმეში მთავრობას ერთი კაპეიკიც არ უზარალია, მაშინ როდესაც ყველა ვაჭრებმა ამ საქმეში დიდი ფული წააგეს.

მაშასადამე ჩვენი სახელმწიფო აწარმოებს ვაჭრობას. უნდა შევურიგდეთ იმ დებულებას, რომ სახელმწიფო, ერობები და ქალაქები უნდა ჩაერიონ ეკონომიურ საქმიანობაში.

თქვენ ლაპარაკობთ, რომ ჩვენ ვავიწროებთ კერძო ინიციატივას. ეს არ არის მართალი; ჩვენ გამოვდივართ, მხოლოდ როგორც კონკურენტები და არავითარ ზღუდეებს არავისთვის არ ვქმნით ხელოვნურად. (ასათიანი: „რათ აუკრძალეთ ერობებს წარმოების დაწყება?“). აი, რატომ: ერობები იწყებენ საქმეს, მათ არ აქვთ ამისათვის თანხები, ისინი მოდიან ჩვენთან და გვეუბნებიან—ფული მოგვეცითო. როდესაც საქმე უკვე დაწყებულია,—ჩვენ ვეღარ ვეუბნებით უარს. ამიტომ ჩვენ ვთქვით ასე, ჩვენ წინასწარ გაგვაცანით გეგმა თქვენ მიერ განზრახული საქმისა და თუ ნებას მოგცემთ საქმის დაწყებისას,— მაშინ ჩვენ ვალდებულნი ვიქნებით დაგეხმაროთ; ისე კი ჩვენს ნებადაურთველად, უფლება არავის ექნება მოგვთხოვოს დახმარება. აი გერმანიაში, მაგ. ფინანსთა მინისტრის ვირტის ნებადაურთველათ არც მთავრობას, არც ერობას და ქალაქს არ შეუძლია გაიღოს ერთი კაპეიკი.

ჩვენი მთავრობას, უეჭველია, აქვს განზრახვა მოახდინოს ცენტრალიზაცია საზოგადო ფულების ხარჯვისა, (ხმა: „ერაძეს ვკითხოთ, როგორ დაიცავს ის ამას?“ ვაშაკიძე: „ერაძეს ავტონომია აქვს მინიჭებული“). ერაძემ ამის შესახებ უკვე სთქვა აქ, თქვენ მას მიეცით განსაზღვრული თანხა. მისი დაწესებულება არის ერთნაირი სავაჭრო დაწესებულება და თუ ჩვენ ვიტყვით, რომ ამ უწყებამ იმოქმედოს წინასწარ დამტკიცებული შტატებით, ის უკვე აღარ იქნება სავაჭრო დაწესებულება. დამფუძნებელმა კრებამ უთხრა მას: აი, შენ გაქვს თავისი და ივაჭრეო. ამ პირმა ივაჭრა ერთი წლის განმავლობაში, შემდეგ მოვიდა აქ თქვენთან და ანგარიში მოგცათ.

ამნაირად ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა სავსებით არის დაფუძნებული დღევანდელ ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობაზე. ეს ეკონომიური მდგომარეობა, რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიქმნია. ამის შექმნა არც შეეძლო მთავრობას. ის შექმნა ობიექტიურმა პირობებმა. ერთი მიზეზი ამისა ის არის, რომ ჩვენ იძულებულნი ვართ აუარებელი საქონელი მოვიტანოთ უცხოეთიდან. მაშასადამე, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენში— შიგნით არ არის ნაყოფიერი შრომა, არ არის ღონიერ ნებული წარმოება, მეორე მიზეზია ის, რომ ჩვენ ვართ მუდამ საომარ მდგომარეობაში. მაშასადამე, მუდამ ჩვენ გვაქვს არაჩვეულებრივი სამხედრო გასავალი. მართალია, ჩვენ არ გვაქვს ომი ყოველთვის, აი, მაგალითად, ეხლა ომი არ გვაქვს. მაგრამ თქვენ იცით, რომ ბევრი ხალხი გვყავს გამოყვანილი და ისინი სდგანან ფრონტზე. სხვათა შორის, შეიძლება აქ ითქვას, რომ იმით, რომ ჩვენ დროზე მოვახდინეთ გასულ წელს მობილიზაცია, ამით ომი მოვიგეთ უომოდ, (ტაში. კედია: 1918 წელშიც რომ ასე მოქცეულიყავით, კარგი იქნებოდა).

სამწუხაროდ, ჩვენ დღეს ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ კიდევ დიდხანს დაგვჭირდება ამ ჯარის ფრონტზე დგომა. ბ. შენგელაიამ წამოიძახა, რომ თუ ჩვენ გვაქვს ფრონტები,—ეს თქვენი გლახა პოლიტიკის ბრალი არისო. არა ბატონო შენგელაია, აქ პოლიტიკა არაფერ შუაშია. აქ არის 2 პრინციპი— ბოლშევიკური და დემოკრატიული და აი ამ ორ პრინციპს შორის არის დავა და ჩნდება ფრონტი. თქვენ თუ გინდათ რომ ეს ფრონტი არ იყოს,—თქვენ ჩვენთან ერთად უნდა დაიცვათ ჩვენი სახელმწიფო.

დღეს მაშასადამე, თუ ჩვენ ფრონტი გვაქვს, ეს გლახა პოლიტიკის ბრალი კი არ არის, არამედ ეს კარგი პოლიტიკის ბრალია. ჩვენ რომ ვაწარმოებდეთ ისეთ პოლიტიკას, როგორსაც აწარმოებენ ადერბეიჯანში და სომხეთში,—თავის თავად ცხადია, დღეს ჩვენ აქ არ ვიქნებოდით და არავითარი სახელმწიფოებრიობა არ იქნებოდა აქ. ამიტომ უნდა ვთქვა, დაბოლოს, რომ დამფუძნებელმა კრებამ ამ ჩვენი პოლიტიკის გატარებაში ხელი კი არ უნდა შეგვიშალოს,—პირიქით, ხელი უნდა შეგვიწყოს. ის ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც ჩვენ გვაქვს დღეს, არის ერთნაირი ბოძი, ერთნაირი საფუძველი, რომელზედაც არის აგებული არა მარტო ჩვენი შინაგანი სიმტკიცე, არამედ —საგარეო სიმტკიცე და თუ ეს ბოძი წაფორხილდა,—თავისთავად ცხადია,—მაშინ მოიშლება არა მარტო ჩვენი შინაგანი სიმტკიცე,—ერთიანად მოიშლება ჩვენი საგარეო სიმტკიცეც და მაშინ დაიშლება ჩვენი სახელმწიფოც. (ტაში).

---

*) ფული მივიღეთ. რედ.

დის არ უპირებლია კონსტიტუციური უფლებებ თ და გაბატონებულია მონარქიული სისტემა,—იტალიი, რომელიც აზიაში შეგვხვდებათ. ისპანელი მუშები დრტვინავენ ნამდვილ ტერორის ქვეშ, რომელსაც აწარმოებს მთავრობა. ამიტომ იგი სთხოვს კონგრესს დანიშნოს კომისია ისპანიის მუშების მდგომარეობის გამოსარკვევად და ისპანეთის მუშათა მოძრაობის შესასწავლად.

იტალიის მუშათა წარმომადგენელმა დ'არაგონამ სთქვა, რომ იგი და მისი იტალიელი ამხანაგები მეტად კმაყოფილნი არიან, როდესაც მათ ხედავენ თუ როგორ გაიფართოვა ინტერნაციონალურმა მუშათა მოძრაობამ თავისი მოქმედების ფარგლები, მაგრამ ამასთანავე იგი წუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ რეზოლუციაში გარკვევით არ არის ნაჩვენები ის ზომები, რომელიც საჭირო იქნება დასახული მიზნის მისაღწევად. დ'არაგონა ამტყუნებს ფედერაციას და ამბობს, რომ ფედერაციას წილი უდევს დღევანდელ რეაქციის არსებობაში, რადგან იგი ომის დროს კაპიტალისტურ კლასებთან თანამშრომლობდა. იტალიელი მუშები, სთქვა მან, ყოველთვის ებრძოდენ კაპიტალისტურ კლასს და ყოველთვის ცდილობდენ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასთან კავშირი ჰქონოდათ, ომის განმავლობაში ჩვენ მეტი სოლიდარობა გვქონდა გერმანიის და ავსტრიის მუშებთან, ვინემ კაპიტალისტურ კლასთან. თქვენც რომ ასე გექნათ, გვექნებოდათ უკეთესი მდგომარეობა. ნუ დაგვიწყებიათ, რომ თქვენმა პოზიციამ ომის დროს რუსეთში შექმნა ის აზრი, თითქოს თქვენ მუშათა კავშირების დამრღვევი იყავით. იტალიელი მუშები იმდენათ ძლიერნი არიან, რომ ებრძვიან ყოველგვარ რეაქციას თავის ქვეყანაში. იურიდიულად მათ არ მიუღიათ რვა საათის სამუშაო დღე, მაგრამ ფაქტიურათ მათ განახორციელეს იგი. ისინი უახლოვდებიან და ახორციელებენ წარმოების კონტროლს; ეს მოხდა ზოგიერთ დარგში, მაგრამ იგი უნდა მოხდეს ყველა დარგში და მით უფრო, რომ მთელი კონტროლი ამ ახლო მომავალში მუშების ხელში იქნება.

შემდეგ კენჭი ეყარა პირველ რეზოლუციას ტრედ-იუნიონთა ინტერნაციონალურ მდგომარეობის შესახებ. რეზოლუციამ მიიღო 21.906.000 ხმა, წინააღმდეგ— 2 710 000.

მესამე დღის სხდომაზე არჩეულ იქნა კომისია, რომელიც გამოიმუშავებს რეზოლუციებს შემდეგ საკითხებზე: 1) წარმოების საშვალებათა სოციალიზაცია, 2) ნედლი მასალის განაწილება, 3) ფულის ცვლის საკითხი და 4) პასუხი მოსკოველ ბოლშევიკებს.

ვიქტორ ნოზაძე.

(დასასრული იქნება).

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 23 იანვარს შესდგა მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ნ. ელიავა. თავმჯდომარის ამხანაგი ზ. ჩხეა. მდივნათ მ. ტუღუში. კრებამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება კოლექტივის ერთი წლის მუშაობის შესახებ, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა 3) მოხსენება თფილისის კომიტეტიდან და 4) არჩევნები: კოლექტივის, თფილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრთა.

პირველი კითხვის შესახებ კოლექტივის ერთი წლის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ს. ვადაჭკორია. შემდეგ სხდომა ისმენს სარევიზიო კომისიის დასკვნას კოლექტივის მუშაობის შესახებ. თფილისის კომიტეტის ერთი წლის მუშაობის შესახებ მოკლე მოხსენებას აკეთებს ამხ. ს. თევზაძე. მოხსენებათა მოსმენის შემდეგ იყო შეკითხვები, რომელსაც სათანადო პასუხი გაეცა. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „ს. ს. დ. მ. პ. თფ. ორგ. მეოთხე რაიონის 1921 წ., 23 იანვარს, საზოგადო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება კოლექტივის ერთი წლის მუშაობის შესახებ, საზოგადო კრება იწონებს კოლექტივის მუშაობას, ამტკიცებს ანგარიშებს და მადლობას უცხადებს მას. ხოლო თფილისის კომიტეტის მოხსენებას იღებს მხედველობაში და გადადის მორიგ საკითხზე". ამის შემდეგ კრების თხოვნით ამხ. ნ. რამიშვილი აკეთებს მოკლე მოხსენებას დღევანდელ ვითარებაზე. სარეკომენდაციო კომისიის წარმოდგენის თანახმად არჩეულ იქნენ კომიტეტში. სილ. ჯიბლაძე, ალ. ლომთათიძე, ე. სირბილაძე, უ. ელიავა, ს. ვადაჭკორია, ზ. ჩხეა, მ. თამაზაშვილი, გ. მაჭავარიანი, გ. უჩანაშვილი, ს. ბუკია, თ. ნიკოლოზოვისა. კანდიდატებათ: ელ. მახვილაძისა, მ. ბერეჟიანი, ა. ფარნიევი, მ. აბაიშვილი, ა. ყიასაშვილი, ჩ. თხილაძე, ა. ცაბაძე, თ. კაკაბაძე, მ გოგლიძე, ლ ბერიტაშვილი და ს. არეშიძე. თფილისის კომიტეტში: ალ. ლომთათიძე, უ. ელიავა, მათ კანდიდატებათ: სილ. ვადაჭკორია, მ. თამაზაშვილი. სარევიზიო კომისიაში: ირ. რამიშვილი, ს. თევართქილაძე, ნ. კაპანაძე. კანდიდატებათ: ი. მიბიშვილი, ვ. შათირიშვილი.

X.

ნავთლუღი. 22 იანვარს შესდგა ახლად არჩეული კოლექტივის პირველი სხდომა. პრეზიდიუმში თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ევ. ლორია, მის ამხანაგებათ: გვიმბრაძე და გოგინაშვილი, პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ-ბი: სიო ქელენტი და სარჯველაძე. კრებები კოლექტივის ხდება კვირაში ერთხელ ხუთშაბათობით საათის 4-ზე. კოლექტივის წევრი, რომელიც სამჯერ არ დაესწრება და გასამართლებელ საბუთს არ წარმოადგენს, გარიცხული იქნება წევრობიდან და მის ალაგს დაიჭერს კანდიდატი. მდივნის განცხადებით კოლექტივმა გადასწყვიტა დარგებში მომუშავე ამხანაგებ მიიღონ თავიანთ თავზედ საარჩევნო ფონდისთვის ფულის შეგროვება. ამხ. ბოკერია აკეთებს მოხსენებას მილიციის შესახებ და კერძოთ ამხ. სილიმანოვის შეურაცხყოფის გამო—მოითხოვა კოლექტივმა მიიღოს შესაფერისი ზომები. მიღებულ იქნა სათანადო წინადადება და გადასწყდა კოლექტივის მიერ მოთავსებულ იქნას გაზეთში ცალკე წერილი. ამხ. ხაზეიშვილის მოხსენების შემდეგ კოლექტივმა წინადადება მისცა თავდაცვის რაზმის ხელმძღვანელ კომისიას გამოასწოროს თავისი დეფექტები. ამხ. ცომაიას შესახებ საკითხი გადადებულ იქნა შემდეგ სხდომისთვის. ამხ ბე. ბერიკაშვილი, იმნაიშვილი და სხვები გამოთქვამენ უკმაყოფილებას მცხოვრებთა აღწერილების წინააღმდეგ, რომლებსაც ბევრი მცხოვრები,—განსაკუთრებით მუშები, გამოუტოვებიათ. ამის გამო გაიმართა კამათი და დაევალა ამხ. ევ. ლორიას საჩქაროდ გააკეთოს მოხსენება ქალაქის თფ. ს.-დ. ფრაქციაში და „გრეივ" კოლექტივის მიერ არჩეულ კომისიას მიეცა წინადადება შეხედოს, რათა არავინ დარჩეს ჩაუწერელი. დასასრულ ამხ. სიო ქელენტი აცხადებს, რომ მომავალ სხდომაზედ კოლექტივმა უნდა მისცეს რკ. გზის რაიონულ გამგეობას ახალი კანდიდატები გამგეობაში ასარჩევათ, ამიტომ სთხოვს ყველა ამხანაგს დაესწრონ სხდომას.

პ ლეხელი.

მუშათა შორის

ტყიბული. 30 დეკემბერს შესდგა ტყიბულის მუშათა კავშირის წევრთა საზოგადო კრება. კრების თავმჯდომარეთ ხმის უმრავლესობით არჩეულ იქნა მოხ. ბიჭიკაშვილი, მდივნათ ვ დარსაძე. დღიური წესრიგი: 1) მოხსენება კავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის, 2) არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრების, 3) მიმდინარე საკითხები.

გამგეობის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. ს. მეხუზლამ, რომელმაც გააცნო კრებას გამგეობის ცხრა თვის ნამუშევარი. გამგეობას ჰქონია 40-მდე სხდომა, სადაც ირჩეოდა მუშათა საჭირბოროტო კითხვები, აგრეთვე სხვადასხვა კითხვები. ადმინისტრაციასთან მუშების დამოკიდებულება და 90% ამ კითხვებისა მუშათა სასარგებლოთ გადაჭრილა. ის ვრცლათ შეეხო იმას, თუ რა მიზანი დაისახა თავიდანვე კავშირმა, რომ მუშათა ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო და ამბობს, რომ კავშირის გამგეობა დარწმუნდა რა იმაში, რომ მუშათა ეკონომიური მდგომარეობა არ შეიძლება გაუმჯობესებული ყოფილიყო მარტო ჯამაგირების მომატებით, გამგეობამ მიზნათ დაისახა მიეწოდებინა მუშებისთვის სხვადასხვა საჭირო საგნები და სურსათ სანოვაგე გაცილებით შეღავათიან ფასებში და ეს გამგეობამ კიდეც შესძლო. მუშებს მოუტანა ინგლისური ფეხსაცმელები (ბატინკები) წყვილი 1040 მან., რომელიც დღეს ბაზარზე ღირს 20.000—30.000 მანეთამდე—მოაწოდა სხვადასხვა გვარი მატერიები, რომელთა ღირებულება ბაზრის ფასებთან შედარებით 60 და 80 პროცენტით ნაკლები არის; მოაწყო სურსათ სანოვაგის მოწოდება ასევე იაფ ფასებში. ეხმარებოდა ხელმოკლე მუშებს ფულით გამგეობის სალაროდან და სხვ… გამგეობა ცდილობდა, რომ კარგ განწყობილებაში ყოფილიყო როგორც მთავრობასთან, ისე მუშათა ორგანიზაციებთან, რომელიც მან შესძლო შეესრულებია. ბოლოს ის მოუწოდებს კრებას, რომ დაკვირვებით, ფრთხილად განსაჯოს გამგეობის მოქმედება და ისე გამოიტანოს თავისი მსჯავრი. იყო შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. აღსანიშნავია, რომ მოხსენების დროს მუშებში გაისმოდა კმაყოფილების ხმა. მუშებზე ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა მოხსენებამ, რომ ისინი თავის რეპლიკებით მადლობას უცხადებდენ გამგეობას. შემდეგ გაიხსნა კამათი. ი. არსენიშვილი აღნიშნავს, რომ გამგეობამ ვერ მოაწყო განათლების საქმე მუშებში კარგად. შემდეგ გამოდის გ. ბარბაქაძე, რომელიც ალბათ დავალებული თავის ჯგუფის მიერ პროვოკაციას და დემაგოგიას მიმართავს გამგეობის საწინააღმდეგოთ. ის ამბობს, რომ კვირა უქმე დღეებში მუშაობა ეს ნიკოლოზის რეჟიმის დროს არ ყოფილა და დღეს მთავრობამ ჩვენი კავშირის გამგეობის საშუალებით თავზე მოგვახვია და ამით უთანხმო გაჭირვებაში ჩაგვაყენა, ამას ამბობდა ეს ბატონი იმ დროს, როდესაც მან კარგად იცოდა ჩვენი რესპუბლიკის გასაჭირი უმაზუთობით და უნავთობით და იცოდა ისიც კარგად, რომ ეს არ მოუხვია კავშირის გამგეობას თავზე ძალით მუშებისთვის, არამედ ეს იყო მუშების უმრავლესობის სურვილი. როდესაც ბაქოში საქართველოდან გაგზავნილი ნავთის და მაზუთის ცისტერნები დააკავეს, მაშინ ტყიბულში ჩამოვიდა გზათა დეპარტამენტის უფროსი ბ-ნი ქიქინაძე, რომელმაც გააცნო მუშათა კავშირის გამგეობას საქმის მდგომარეობა და სთხოვა გამგეობას აეხსნა მუშებს რა მდგომარეობაში ჩავარდება რესპუბლიკა, თუ მეტ ნახშირს არ დავამზადებთ და რკინის გზას არ მივაწვდით. ამისთვის საჭირო იქნება ორ თვის განმავლობაში კვირა დღეების მუშაობა. გამგეობამ მოახდინა მუშათა კრებები, აუხსნა მუშებს საქმის მდგომარეობა და უჩვენა მათ ემუშავნათ ეს დღეები, რომ რესპუბლიკა ეხსნათ განსაცდელისაგან. მართლაც, მუშები დასთანხმდენ და დაიწყეს მუშაობა—ეს იყო და ეს; მაგრამ გ. ბარბაქაძემ, რომ მუშების გული მოიგოს და თავისი პრესტიჟი, რომელიც მან ტყიბულის საზოგადოებაში დაჰკარგა, აღადგინა, მიმართა ასეთ ხერხს—ვიმეორებთ, თავის ჯგუფის დავალებით. საკითხავია: ვინ არის ეს ჯგუფი? ეს გახლავთ მაღაროებში თავმოყრილი ინტელიგენცია ფედერალისტების სახით. ეს ის ფედერალისტები არიან, რომლებსაც მონოპოლიათ გაუხდიათ ვითომდა ერის დაცვის საქმე და ამავე დროს როდესაც „მათ ერს" განსაცდელი მოელის, როდესაც ჩვენი მთავრობის მოქმედებით ეს განსაცდელი გადატანილია, ამ დროს გამოდის მათი ერთ-ერთი წევრი და მუშებს მოუწოდებს მთავრობის წინააღმდეგ, იმიტომ, რომ მთავრობამ ამ მუშების დახმარებით გადაარჩინა რესპუბლიკა განსაცდელისაგან. ჩვენ ვიცით, რომ ფედერალისტებისთვის ყველაფერი ერთია, ოღონდ მათ ჩვენი მთავრობის პრესტიჟი დასცენ ხალხში; გ. ბარბაქაძე ამით არ დაკმაყოფილდა და კავშირის გამგეობას ბოროტმოქმედება დასწამა. და წამა ისე უსირცხვილოთ, რომ თითონაც არ იყო დარწმუნებული თავის სიმართლეში. ამ დროს გამოდიან ჩვენი ამხანაგები, რომლებსაც უნდათ დაუმტკიცონ მუშებს გ. ბარბაქაძის წამოსროლილი ბრალდებების სიყალბე, მაგრამ მუშებში ჩამდგარი ჯგუფი ფედერალისტების და ესერებისა არ აძლევდა მათ საშვალებას სიტყვის დათავებისას. შემდეგ გამოდის მომხსენებელი, რომელიც არღვევს ყველა წამოყენებულ ბრალდებებს, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ წინა მოხსენების დროს შექმნილი შთაბეჭდილება მუშებში—გაქრო გ. ბარბაქაძის პროვოკაციამ დაბოლოს ჯერი მიდგა არჩევნებზე. თავმჯდომარე წინადადებას აძლევს მუშებს დაასახელონ კანდიდატები. ამ დროს კიდეც შეიღამდა, დაიწყო კენჭის ყრა ხელის აწევით. ისე უსისტემოთ ჩატარდა არჩევნები, რომ არჩევნების შედეგის გამოცხადების შემდეგ გამოირკვა რომ ახალი მაღაროების მუშების წარმომადგენელი, რომელთა რიცხვს შეადგენს 700 მდე მუშა,—ერთიც არ მოხვდარა გამგეობაში—ამან გამოიწვია მუშებში დიდი აურ-ზაური. აგრეთვე არ ხდებოდა კენჭის დათვლა და ბატონ თავმჯდომარეს ვინც მოეპრიანებოდა ის გაჰყავდა, რაც სხვათა შორის მან განაცხადა ერთ ალაგას.

როდესაც ძველი გამგეობა აბარებდა საქმეებს ახალ გამგეობას და სხვათა შორის ძველი გამგეობის წევრები შეეკითხნენ ბ. ბარბაქაძეს, თუ რა მოსაზრებით გამოვიდა ის ძველი გამგეობის წინააღმდეგ ასეთი პროვოკაციით, მან განაცხადა: „არც მე ვიცი რა ჰქვაზე ვიყავიო" ამნაირად, მან უკან დაიხია, თავის პროვოკაციული გამოსვლა უარყო და ვაი ისეთ პარტიას, რომელსაც თავის რიგში ასეთი წევრები ჰყავს, რომლებიც თავის სიტყვას პატრონები არ არიან.

ამ მხრით ფედერალისტების [illegible] პროვოკაციამ და ბ. თავმჯდომარის ცალმხრივობამ მიანიჭათ ვითომდა ფედერალისტ-ესერთა ჯგუფს „გამარჯვება" მაგრამ ვნახოთ, რას გაუკეთებენ მუშებს. მოვა დრო ანგარიშის ჩაბარებისა და დავინახავთ, თუ როგორი „გულშემატკივრები" გაუჩნდენ ტყიბულის მაღაროების მუშებს.

„ზეგი".

პროვინცია

ხ. აღბულაღი. (პატარძეულის თემი, თფილისის მაზრა). ეს სოფელი შედარებით მის ახლო მდებარე სოფლებთან პატარაა: სულ დაახლოვებით 110 კომლი იქნება. რაც ეს სოფელი დაარსებულა, რაც მოსახლობა აქ დამკვიდრებულა, არა მგონია, მას ვინმე გულშემატკივარი გასჩენოდეს, მის კეთილდღეობისათვის ეზრუნოს. მხოლოდ თფილისის მაზრის ერობის მიერ 1919 წ. დაარსებულა პირველ დაწყებითი სკოლა, რომელიც სამწუხაროდ კარგად მოწყობილი ვერ არის, სოფელს არ აქვს შენობა, როგორც სკოლისათვის, ისე მასწავლებლისათვის, რაც შენობის ქირაობა ხალხს მძიმე ტვირთად კისერზე აწევია. თუმცა მცხოვრებლებს სურვილი აქვთ შენობის აგებისა, მაგრამ ჯერ ჯერობით ეს სისრულეში ვერ მოუყვანიათ. ხალხს სწავლისადმი დიდი ლტოლვა აქვთ, თითქმის ყველა გრძნობს სწავლა-ცოდნის საჭიროებას, მიუხედავათ იმისა, რომ წერა-კითხვის მცოდნეს იშვიათად შეხვდებით. ახლა გზას სოფელში არ იკითხავთ?! ადამიანს გზაზე გავლა ავდარში არ შეუძლია. შობა დღეს მივიდნენ აქ პატარძეულიდან ამორჩეული კაცები ფრონტის დღესთვის შეწირულების მოსაგროვებლად. მიუხედავათ იმისა, რომ არავითარი წინასწარი ცნობა არ გამოუგზავნიათ თემიდან, ფრონტის დღის შესახებ, მცხოვრებლები დიდი ხალისით შეეწიენ, რაც კი შეეძლოთ. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს უარი ეთქვას. პატარძეულის თემიდან (თემი აქ ახალი დაარსებულია) მაშინ გადმოვიდნენ, თუ რამე ხარჯები დარჩა გადასახდელი, თუ არა და ვის სცალია აღბულაღისათვის.

მასწავლებელთა დიდი ხნის მოლოდინი ასრულდა. მიიღეს ცოტაოდენი სურსათი, რაც მათ გაჭირვებულ მდგომარეობას ცოტათ თუ ბევრათ მალამოს მოსცხებს. მიიღეს: ლობიო, საპონი და 2 ფუთი ხორბალი, რომელშიაც თითქმის ნახევარი ღვარძლი, მიწა და ქვა იყო. რომ შეეკითხნენ, რატომ არის ასეთიო, უპასუხეს: წისქვილიდან ეს მოგვცეს გინდ წაიღეთ, გინდ არაო.

უმჯობესი იქნება მიეცეს ცოტა და კარგი ხარისხის.

იმედია ყურადღება მიექცევა ამ გარემოებას ვისაც ჯერ არს.

მ. ზვანელი.

ხაშური. 30 იანვარს ნაშუადღევის 4 ს. რკინის გზის მუშათა კლუბში შესდგება ხაშურის მომხმარებელთა საზოგადოების „ცხოვრება"-ს წევრთა წლიური კრება. ეს საზოგადოება დაარსდა 1915 წ. ნოემბერში. დღიდან დაარსებისა ეს საზოგადოება არ ამცდარა თავის მიზანს და დანიშნულებას: შესაძლებლობის ფარგლებში აწვდიდა თავის წევრებს სურსათ სანოვაგეს და სხვა უპირველეს საგნებს, ეხმარებოდა კულტურულ დაწესებულებებს და სხვა.

საზოგადოებას ჰქონდა 1920 წ. 1 იანვრისათვის აქტივში: კასაში ნაღდი ფული 98 160—43 საქონელი გასაყიდი ფასით 93 685—69 სხვადასხვა პირთ და დაწესებ. მართებთა 37.719—37 ქონება 1.026 35 სულ 230.600 84.

პასივში: საპაიო თანხა 19 120—00 ძირითადი თანხა 28 054—97 გომის კავშირ. წამოღ. საქონლ. ვალი 13.850 საზოგადოების სხვა და სხვა ვალები 40.366—00 დარჩენილი საქონლის მოგება 21.303—98 1918 წ. გაუტანელი მოგება 4 350—00 1919 წ. წმინდა მოგება 103.545—89 სულ 230 600 84. საზოგადოებას ჰქონდა მიმდინარე 1921 წ. 1 იანვრისათვის.

აქტივში: ნაღდი ფული კასაში 117.833—50 საქონელი გასასყიდი ფასით 1.253 508—00, ქონება 3 621—35, საპაიო თანხა გომის კოოპ. კავშირში 1.156—25, საპაიო თანხა კოოპ. ბანკში 3.000—00, სხვადასხვა პირთ მართებთ 36 318—00, სულ 1.415.477—10.

პასივში საპაიო თანხა 2 9160 00, ძირითადი თანხა 28.466—97, გომის კავშ. წამოღ. საქონლ. ვალი 409.673—65, მსახურთა საწინდარი 2 750—00, დარჩენილ საქონ. მოგება 50.140—00, [illegible] გადასახადი 1.412—00, წინა წლების გაუნაწ. მოგება 104 805—89, 1920 წ. წმინდა მოგება 788.938—59, სულ 1 415.437—10.

როგორც სჩანს, ჩვენი კოოპერატივის მდგომარეობა არც ისე უნუგეშოა, ამისათვის მოუწოდებთ ამ საქმისადმი გულ შემატკივარ ხაშურის დემოკრატიას მეტი ყურადღებით, მეტი სიმპატიით და მეტი ენერგიით მოეპყრან აღნიშნულ საზოგადოებას. მომავალ გამგეობაში აირჩიონ ენერგიული და პატიოსანი პირნი, ნუ მოაკლებენ თავის მხრით რჩევა—დარიგებას და მაშინ ჩვენი კოოპერატივი ხალხს მეტს სამსახურს გაუწევს.

გ ზაქარიაშვილი.

წერილი რედ. მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ „ერთობის" ფურცლებზე ადგილი დაუთმოთ ამ ჩემ მოკლე განმარტებას. სოც.-დემოკრატიული პარტიის კონფერენციის ოცი იანვრის სხდომაზე ამხანაგმა სანდრო ფარნიევმა სხვათა შორის სთქვა დაახლოვებით შემდეგი: ერთ კრებაზე „ახალ სხიველებს" ამხ. მიშა კლიმიაშვილმა (ე. ი. მე) უწოდა პირველი მერცხლები, მე მათ იმავე კრებაზე დავარქვი შავი ყვავებ და აი ჩემი სიტყვა გამართლდაო.

ამხანაგ სანდრო ფარნიევის სიტყვების მომსმენი უნებლიეთ იფიქრებდა, რომ მე სხიველების მომხრე მაინც უნდა ვიყვე, თუ აქტიური მომუშავე არა ვარ მათ ჯგუფში.

მართალია მე ერთ კრებაზე ვსთქვი ეს სიტყვები, მაგრამ ჩემი სიტყვები ჩაქსოვილი იყო ისეთ აზრში, რომ ამ სიტყვებს ისეთი მნიშვნელობა არა ჰქონდა, როგორიც მიეცა მათ ამხანაგ სანდრო ფარნიევის გამოცემით.

პირიქით მე „ახალი სხივის" არსებობის დიდი წინააღმდეგი ვიყავი ყოველთვის და არ ვიზიარებდი იმ საქმიანობას, რომელსაც ეწეოდა დამფუძნებელი კრების სოც. დემ. ფრაქციის ეგრეწოდებული ოპოზიცია თავის პრესის საშუალებით.

მართალია ბევრი რამ ჩვენი პარტიული საქმიანობის საქართველოს ეკონომიურ პირობებში გულსა და გონებას მიღლის ეჭვით, როგორც განვაცხადე ეს მეორე კონფერენციაზე, მაგრამ მე ჩემ ეჭვებს ყოველთვის ვუზიარებ ხოლმე ამხანაგებს პარტიულ ორგანიზაციებში და საქმით კი ყოველთვის ვატარებ ცხოვრებაში პარტიის უმრავლესობისაგან დამუშავებულ აზრს, რადგანაც პარტიული დისციპლინა პოლიტიკური ბრძოლის დროს მიმაჩნია ძლიერ იარაღად პარტიის ხელში, მიტადრე ისეთ რთულ პოლიტიკურ მომენტში, როგორსაც განვიცდით ამ ჟამად ჩვენ.

ამხანაგურის სალამით

მ. კლიმიაშვილი.

ამხანაგო რედაქტორო!

ჭეშმარიტების აღსადგენად გთხოვთ დაბეჭდოთ ეს მცირე წერილი.

გაზ. „სახ. საქ." სამშაბათის №-ში (1075) ვიღაც ოკრიბელი ჰკიცხავს იუსტიციის სამინისტროს და, სხვათა შორის, სწერს: როდესაც შედიხართ სასამართლო პალატის სამოქალაქო დეპარტამენტში — თქვენ გავიწყდებათ, რომ საქართველოს რესპუბლიკის უწყების განყოფილებაში ხართ. იგი წმინდა რუსულია; განსაკუთრებით კანცელარია. აქ საქმის წარმოება რუსულად მიმდინარეობს, რადგან დაუნიშნავთ ვიღაც პავლოვის ქალი, მას თავის ტომის მოხელენი ჰყავს (გარდა ერთის), ამრიგად კანცელარიის მდივანი, თანაშემწე და კანცელარიის მოხელენი სასამართლო პალატის სამოქალაქო დეპარტამენტში ყველანი არიან სახელმწიფო ენის არ მცოდნენი":

ეს ითქვა წერილი „საქართველოშიაც" იყო რამოდენიმე დღის წინეთ.

ვკითხულობდი და თვალებს არ ვუჯერებდი, იმდენად არ შეეფერება სიმართლეს ყველა ეს.

სასამართლო პალატის სამოქალაქო დეპარტამენტში საერთოდ და მის კანცელარიაში კერძოთ არც ერთი მოხელე, დაწყებული უფროს მსახურიდან და გათავებული პალატის წევრებით (გარდა ერთისა—ბ. ლიმერმანისა), რუსი არ არის. თქვენ თითონ განსაჯეთ.

აი მთელი შემადგენლობა: პალატის წევრნი: გ. ზ. ჩაჩიბაია, მ. ი. ჯომარჯიძე, გ. ი. კაბიძე ყოფილი, ქ. ლ. ლიმერმანი. სასამართლოს ბოქაული ლ. აბელიდიანი, მდივნის თანაშემწე მ. ლ ვ მიჩავა, მანქანაზე მბეჭდავნი: ე. ფერიაშვილი და თ. აბაშიძე; კანცელარიის სხვა მოხელენი: დ. ჯავახიშვილი, ნ. ბაქრაძე, ზ. განჯუმოვი. უმცროსი მსახური ფეფო ლოლაძე. საქმეები ყველა ქართულად სწარმოებენ.

რაც შეეხება პირადად მე, ჩემი მშობლები საქართველოს მკვიდრნი არიან (ახალციხიდან), ქართულად ლაპარაკობენ. ამის გამო ქართული მეც ვიცი, მაგრამ კიდევ უკეთესად შევისწავლიდ განსაკუთრებულ გაკვეთილებს ვიღებდი ერთი წლის განმავლობაში ბ ნ სარგის კაკაბაძისაგან. ეს კიდევ ცოტა: უნივერსიტეტის გათავების შემდეგ სამი წელიწადი პალატაში ვმსახურობდი და წელიწადზე მეტის, რაც პალატის მდივნად დამნიშნეს, ჩემს ხელში იყო წარმოება ყველა ქართული საქმეების, რომლებიც პალატაში შემოდიოდა ქუთაისის, თფილისის და ბათუმის ოლქის სასამართლოებიდან.

ერთი ცოდვა კი მაქვს: რუსის—ჩემი ქმრის—გვარს ვატარებ, მაგრამ მეგონა, რომ ცოდნა და გამოცდილება უფრო დასაფასებელი იქნებოდა, ვიდრე გვარის დაბოლოვება.

უმორჩილესად ვთხოვ „სახ. საქ." და „საქართველოს" რედაქციებს გადაბეჭდონ ზევით ნათქვამი და, დარწმუნებული ვარ, ყველა ზიზღით შეხედავს ასეთი ჭორების გავრცელებას.

სას. პალატის მდივანი ე. პავლოვსკაია.

ცნობები

ბაქოდან გამომტანა ერთმა ახალგაზრდა კაცმა თავისი გვარი და სახელი, რომლის შესახებ მის მშობლებს დიდი ხანია არავითარი ცნობა არ ქონია. მშობლების ადრესი არ იყო ნაჩვენები. ბარათი დავკარგე და არ მახსოვს სახელი და გვარი, მხოლოდ იყო ფრჩხილებში ჩასმული „იუზიკი".

ს. ბუკია.

რედაქტორი [illegible]

განცხადებანი

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
სპეციალურად სიფილისი („914" და „606" შეშხაპუნება) კანის, ვენერიული და საშარდო-სასქესო ავათმყოფობანი ავათმყოფების მიღება დილის 12—2 ს და საღამოს 6—8 ს. საპირის ქ. № 35 სამინისტროთა შენობის ახლო (ყოფილი კადეტთა კორპუსი).
(7 თებ.)

„სორაპანის" გამოცემა დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ
სარგის კაკაბაძის
შემოკლებული ისტორია საქართველოსი
[illegible]
სახელმძღვანელო უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის და საშუალო სასწავლებლის მეოთხე კლასის კურსი. ფასი 400 მანეთი. მისამართი: თფილისი, სტამბა „სორაპანი" მ. გაჩეჩილაძეს. (312 5—2)

ექიმი [illegible]
სპეციალურად სიფილისი და [illegible] (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე [illegible]
(13 თებ.)

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. გ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606" და „914".
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (11 თებ.)

ექიმი
ე. ი. პალუნდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფებით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (7 თებ.)

დოქტორი
ბ. ბ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ფილტვი და გულისა. იღებს ახალ რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
28 იანვ.

ექიმი
ს. ა. არუთინოვი
სპეციალურად სიფილისი (606 და 914), კანის ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნევრასთენია (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით (პარალელურად). მიღება დილით 10—12 ნაშ. ს. საღ. 5 7 საათამდე 16—თებერ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. [illegible] ბის საწოლები. [illegible] ნოვის ქ. 26 ტელეფ. 7—91 (1—თებ.)

ექიმი
ანდრია ვილგელმის ძე
ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლავების ავადმ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 6—7 საათ. ტელეფონი 12—46.
22- თებ.

ა. გ. შარიმანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულებები (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. [illegible] რამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის საქართველოს პირდაპირ. ღარიბები უფასოთ. (29—თებ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულებების
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
ბოკერიასი
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141 პროჟექტორ „აპოლლოს" მახლობლად ტელეფ. № 5—97 დასაწოლ ავადმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—თებ.)

კბილის ექიმი.
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხორავა
იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—2 საათამდე, საღამოობით 4—7 საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღას ქ. კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ-აზარიანცისა, ბინ. № 20 (22 თებ.